რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი, 1 მარტი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 20 კაპ.

გაზეთის ღირს: ერთი თვით 4 მ. 50 კ., ორი თვით 9 მ., სამი თვით 13 მ. 50 კ. ექვსი თვით 27 მ. ერთი წლით 50 მ. ცალკე ნომერი ყველგან 20 კაპ. საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—50 კაპ. სამგლოვიარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 11 ნახ. ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 48 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 48

მწუხარებით გულ მოკლული მეუღლე თამარი ანდრიას ასული და პატარა ქალიშვილი მარია ქავთარაძე ულრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს პირველის დაუვიწყარ ქმრის, ხოლო მეორის საყვარელ მამის

**გიორგი (ქუკუ) იერემიას ძე ქავთარაძის**

ტრაღიკულათ და უდროოდ გარდაცვალებას. პანაშვიდი დანიშნულია შაბათს, 3 მარტს ქ. ქუთაისის მთავარ-ანგელოზის ეკლესიაში დილის 11 საათზე. 2—1

მწუხარებით გულ-მოკლული დები: ვერა და სოფიო ქავთარაძენი აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს დაუვიწყარ და საყვარელ ძმის

**გიორგი (ქუკუ) იერემიას ძე ქავთარაძის**

უდროოდ და ტრაღიკულათ გარდაცვალებას. პანაშვიდი დანიშნულია შაბათს 3 მარტს ქ. ქუთაისის მთავარ-ანგელოზის ეკლესიაში დილის 11 ს.

თეოდოსია ბეროს ასული, დავითი და კონსტანტინე ანდრიას ძე აბაშიძენი ულრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფასი სიძის

**გიორგი (ქუკუ) იერემიას ძე ქავთარაძის**

ტრაღიკულად გარდაცვალებას, პანაშვიდი დანიშნულია 3 მარტს ქ. ქუთაისის მთავარ-ანგელოზის ეკლესიაში დილის 11 საათზე. 2—1

ივანე და ელენე გომართელი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობ-მეგობრებს, რომ ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ მიიცვალა 27 თებერვალს თფილისში მათი ტკბილი და დაუვიწყარი დედა

**სალომე გომართელი.**

დაკრძალვა ს. გორისაში 3 მარტს.

ნინა ვლადიმირის ასული, ვლადიმერ და ბიკტორ ვასილის ძენი კოჩინევნი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ მიმდინარე წლის 7 მარტს, დილის 10 საათზე სუმბათოვის ეკლესიაში გადახდილ იქნება წლის წირვა და პაშვიდი პირველის ძვირფასი ქმრის, ხოლო მეორეთა საყვარელ მამის

**ვასილის**

სულის მოსახსენებლად.

**დემოკრატიული კლუბი „მუშტაიდი"**

ხუთშაბათს, 1 მარტს, „ნოვაია ჟიზნის" რედაქციის წევრი

**სტანისლავ ვოლსკი**

წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე:

**საბჭოთა მთავრობა და პარლამენტარიზმი**

დასაწყისი საღამოს 6 საათზე. ბილეთების ფასი 3 მ.-დან 50 კ.-დე. იყიდება კლუბ „მუშტაიდის" კასაში დილის 10 საათიდან.

## განცხადება.

ამიერ-კავკასიის რკინის-გზების მთავარ კომიტეტის სასურსათო კომისია იწვევს მსურველთ, რომელთაც შეუძლია იკისროს საჭირო სანოვაგის ჩაბარება ამიერ-კავკასიის რკინის გზის რომელიმე სადგურზე მოტანით.

ნახვა მოსალაპარაკებლათ შეიძლება დილის 9-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.

მისამართი: თფილისის სადგური, ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტი. 3—2

**შემთხვევით სადგურ მიხაილოვში (ხაშური)**

იყიდება (შეიძლება აგრეთვე იჯარითაც აღება) ორსართულიანი ქვითკირის ახალი სახლი 6 ოთახით, მიწა ზომით 1,050 ოთხკუთხი საჟენი, ორწლოვანი საუკეთესო ჯიშის ხეხილით გაშენებული ბაღი, ეზო წყაროს წყლით. სახლი სადგურიდგან 200 საჟენზედ არის დაშორებული, გიმნაზიის ახლო, იქვე იყიდება მატარებელი ცხენი უნაგრით. ფასზე და პირობებზედ მოლაპარაკება შეიძლება ადგილობრივ მღ. ბ. გიორგაძესთან, ხოლო ქ. თფილისში ვორონცოვის პატარა ხიდის ყურთან წმ. სანთლის საწყობში მ. ხიმშიაშვილთან.

## განცხადება

პეტრე გრიგოლის ძე მელია გულ-დათუთქული ვაუწყებ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ჩემი ძმა ბეგლარი 19 იანვარს გავიდა სახლიდგან, იმ დღესვე საღამოს ყოფილა ვ. ცაბაძეს სახლში, სადაც დატია ოქროს საათი და წერილი საშა აბაშელის გარდასაცემათ. 21-ს მივიღე წერილი, რომლის შინაარსიდგან სჩანს, ერთი წლის და ერთი თვის ავადმყოფობის შემდეგ დარწმუნებული იმაში, რომ მისი მორჩენა შეუძლებელია და ხსნა არსაიდგან არის, გარდაუწყვეტია მდ. მტკვარში გადავარდნა და ამით წუთისოფლის გამოსალმება. ჩემ მიერ ზომების მიღებამ მის მოსანახავად ვერავითარი შედეგი არ მომცა. ამიტომ უმორჩილესად ვთხოვ ყველა ჩემს და მისს ნაცნობთ და მეგობრებს დახმარება აღმომიჩინონ ცხედრის გვამის აღმოსაჩენათ.

პეტრე გრ. მელია.

ექიმი

**დ. ი. ჯაფარიძე**

მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 ს. მდივანოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

**ექიმი ა. ი. გვარჯალაძე**

შინაგან და ბავშვთა სნეულებანი

ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 5—6 ს., კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელ. 15—00.

**ექიმი ვ. გ. ვეფხვაძე**

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორათ ნამყოფი იღებს ავათმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიევდის ქუჩა, № 19.

## ამიერ-კავკასიის ყველა მოქალაქეს

ამხანაგებო და მოქალაქენო!

ომით მოქანცულ ხალხს ზავი სწყურია.

ჩვენ მედგრათ გადავდგით ნაბიჯი ოსმალეთთან ზავის შესაკრელათ. ჩვენი საზავო დელეგაცია უკვე ტრაპიზონში იმყოფება და ოსმალეთის დელეგაციას უცდის. ცნობაა, რომ ოსმალეთის დელეგაცია უკვე წამოსულა ტრაპიზონში, მაგრამ ზავის საქმე ამით ოდნავათაც არ წაწეულა წინ.

ჩვენ ვიცით, თუ როგორ მოატყუა გერმანიამ პეტროგრადის ბალშევიკური მთავრობა. იმ დროს, როცა რუსეთის დელეგატები ბრესტში იჯდენ და გერმანიის დელეგატებთან ერთად საზავო პირობებს იმუშავებდენ, გერმანიის ჯარი საომრათ ირაზმებოდა და რუსეთის საზღვრებს უახლოვდებოდა. დღეს ეს ჯარი უკვე რუსეთის შუა გულში შეიჭრა და მისი შეჩერება აღარ ძალუძს არც მოწოდებებს და არც წყევლა-კრულვას. რუსეთი დაღუპვის პირზეა მიმდგარი.

დღეს ოსმალეთის მთავრობა ცდილობს ჩვენშიაც გაიმეოროს ის, რაც გერმანიამ რუსეთში ჰქნა: ის ზავზე მოლაპარაკებას განაგრძობს და ამავე დროს ჩვენი საზღვრებისკენ ჯარს ჰგზავნის. უკვე ცნობაა, რომ ოსმალეთის ჯარი ბათუმის მხარისაკენ მოეშურება.

რევოლიუცია და სამშობლო განსაცდელშია. დაუძლურებულ ოსმალეთს სურს ჩვენი სისუსტით ისარგებლოს და ჩვენს ქვეყანას სასიკვდილო ლახვარი ჩასცეს. მას იმედი აქვს, რომ ჩვენ გავიმეორებთ იმავ შეცდომებს, რამაც რუსეთი დაღუპა, ოსმალეთი დარწმუნებულია, რომ ჩვენ საზავო მოლაპარაკებით შევიქცევთ თავს და ამ დროს ის ბათუმს და ყარსს ჩაიგდებს ხელში.

რას ნიშნავს ჩვენთვის ბათუმის და ყარსის დაკარგვა? ყველაფერს, რადგან ბათუმის და ყარსის ჩამორთმევით ჩვენ დაგვეკეტება საუკეთესო გზა ევროპისაკენ და მტერს გზას გაუხსნის მთელს ამიერ-კავკასიაში სათარეშოთ.

ცხადია, თუ რა სურს ოსმალეთს: ამ ადგილების შეერთებით მთელი ამიერ-კავკასიის დაპყრობა და ჩვენი ერის მონობის უღელში გაბმა.

ვინც ოსმალეთის ასეთს განზრახვას ანგარიშს არ უწევს, ის პოლიტიკურათ ბრმა არის, ის ღალატობს ხალხის ინტერესებს, მის კეთილ-დღეობას, ის ძირს უთხრის რევოლიუციას.

რევოლიუცია განსაცდელშია. ჩვენს ხალხს, მის არსებობას საფრთხე მოელის, მთელს ერს გადაშენებას უქადიან.

თქვენ დაანგრიეთ საშინელ მტარვალის ტახტი და როცა იწყება რევოლიუციის მოპოებათა გამაგრება და ცხოვრებაში გატარება, ამ დროს გარეშე მტერი ცეცხლითა და მახვილით იმუქრება.

ნუ თუ ამ დროს გამოჩნდება ჩვენში ისეთი მოღალატე და ლაჩარი, რომელიც მოსულ მტერს არ შეებრძოლება და ქვეყანას და რევოლიუციას განსაცდელში ჩააგდებს.

ამხანაგებო და მოქალაქენო!

დაუყონებლივ გაეშურეთ სამობილიზაციო ადგილებისაკენ, დაუყოვნებლივ შეასრულეთ თქვენ მიერ არჩეულ მთავრობის მოწოდება ჯარის შესადგენათ. ცხრამეტიდან ოცდახუთ წლამდე უკვე გამოცხადებულია მობილიზაცია. მაგრამ ეს ცოტაა. ყველა მოქალაქე, ვისაც კი იარაღის ტარება შეუძლია, თოფს ქვეშ უნდა დადგეს, ყველამ უნდა მოიხადოს საპატიო ვალი მამულისა და რევოლიუციის წინაშე.

ქვეყანა და რევოლიუცია განსაცდელშია. დაიხსენით ის და მით უკვდავ ყავით დემოკრატიის სახელი.

შეიარაღდით და პოზიციებისაკენ გაეშურეთ!

**საოლქო კომიტეტი რ. ს. დ. მ. პ. ამიერ-კავკასიის ორგანიზაციებისა.**

## ვისაც ზავი სურს—ომისთვის ემზადოს

რუსეთის რევოლიუციის პირველი სიტყვა იყო ზავი და თავისუფლება. დღეს წლის თავზე რუსეთის რევოლიუციის სიტყვა უნდა იქნეს—დაცვა რევოლიუციის. არასოდეს ასეთ საფრთხეში არ ყოფილა ხალხის მოპოვებული უფლებები. არასოდეს ასეთი მტერი არ გასჩენია თავისუფლებას, მიწის კონფისკაციას, 8 საათის სამუშაო დღეს.

საფრთხე რუსეთს მოელოდა შიგნიდან და გარედან. რეაქცია და გარეშე მტრის ხიშტი—აი ორი შავი ზოლი რევოლიუციის. დღეს რუსეთი უკვე მოსული ხიშტის ქვეშ განართხმულია. შინაური ხიშტი მხოლოდ თავის მოძმეთა წინააღმდეგ მოქმედებს. ურთიერთის ქლეტაში დახელოვნებულნი, ბალშევიზმის მიმდევარნი და ამყოლნი, გარეშე მტრის წინაშე მონურათ ქედს იხრიან.

ისტერიული, ნერვებ-აშლილი კივილი სახალხო კომისრების—ლენინის მეთაურობით, უნაყოფოთ რჩება. ადესის სახალხო კომისარები პირიქით პეტროგრადელ კომისრებს ემუდარებიან—გერმანელთ შეევაჭრეთ, დაუთმეთ რამე, მიეცით სანაზღაურო, ოღონდ უკრაინაში ჩვენ ნება მოგვცენ თავისუფლათ შინაური ბრძოლის წარმოებისო.

ზნეობრივი დაცემა ამაზე შორს ვერ წავა. მტერს მიეცით, რაც გთხოვოს, აუსრულეთ ყოველი წადილი, ოღონდ შინაური მოძმეების ქლეტაში ხელს ნუ შეგვიშლისო...

ადამიანი მხეცი უნდა იყვეს, გაბოროტებული მხეცი, რომ ასეთი თხოვნის წარმოთქმა გაბედოს.

და ასეთ პირობებში, განა ჩვენი კუთხე ამიერ-კავკასია—გადაურჩება ამ გამცემლობას, ამ მოღალატეობის აუცილებელ შედეგებს? შემთხვევითი არაა, რომ მოღალატურათ აჯანყდა ყველა ჩვენი ჯარები სწორეთ იმ დროს, როცა გარედან ოსმალთა ჯარი ჩვენი სხეულის საუკეთესო ნაწილის მოგლეჯას გვპირდება, შემთხვევითი არ არის, რომ სწორეთ ამ დროს ყოველ მხრიდან სისინობენ და ანთხევენ ძმათა შორის უნდობლობის შხამს, რითაც ნიადაგს უმზადებენ შინაურ ომის გაჩაღებას.

მხოლოდ დემოკრატიის შეგნებულ, ორგანიზაციულ მუშაობას, შეუძლია რამდენიმეთ მაინც აგვაშოროს თავიდან ეს საშინელი განსაცდელი.

ანარქია გვემუქრება შიგნიდან, ბევრგან ბალშევიკების, ბევრგან ოსმალეთის აგენტურის ხელმძღვანელობით; ანარქია გვემუქრება გარედან—ოსმალეთის ხიშტის წვერზე წამოსკუპებული.

და ეს უკანასკნელი საფრთხე უძლიერესია დღეს. ოსმალთა ფაშები, ომში დამარცხებულნი, ყოველმხრივ ბრძოლაწაგებულნი, ეხლა რევოლიუციის დაუძლურებულ სხეულს უპირებენ დაჯიჯგვნას. მათ თვალი მოუჩერებიათ რევოლიუციური ბათუმისკენ, სადაც ჩაისახა და გაღვივდა პირველი ნაპერწკალი რევოლიუციური მოძრაობისა ჩვენში. მუხანათი მტერი—სარგებლობს რა რუსის ჯარის წასვლით, სასტიკ განადგურებით ემუქრება ჩვენს რევოლიუციურ მხარეს.

ნურავინ მოტყუვდება საზავო მოლაპარაკებაზე დელეგატების წასვლით. მოლაპარაკება შეიძლება არც კი დაიწყონ ოსმალებმა. მოლაპარაკება შეიძლება ყოველ წუთს შეწყვიტონ, როცა ამას სასურველათ დაინახავენ თავის ინტერესების მიხედვით.

ზავი—არ მოაქვს კაცთმოყვარეობის გრძნობას, არც ურთიერთისადმი სიმპატიას. საერთაშორისო ურთიერთობამ ასეთი გულჩვილობა არ იცის. აქ გამეფებულია ხმალი, აქ კანონს და სამართალს სჭედს ძალა, უხეში, ფიზიკური ძალა, ხიშტი და ზარბაზანი.

ვისაც სურს ზავი, უნდა ემზადოს ომისათვის—ასეთია ბრძნული თქმულება ხალხის. ვისაც სურს ზავი ჩამოვარდეს ოსმალეთთან, მან უნდა ოსმალეთის საზღვრებს მიაშუროს გასამაგრებლათ. დიპლომატები ვერ მოგვცემენ მშვიდობიანობას, თუ მათ თოფ-იარაღი არ უმაგრებს ზურგს. მოღალატეა და უსინდისო მატყუარა ის, ვინც მომავალ ზავის სახელით ურჩევს ხალხს დღეს იარაღის დაყრას. ბალშევიკების კომისარებმა სწორეთ ასეთ მოღალატური უგნურებით წააგეს ომიც, ზავიც და რუსეთის ბედი და მომავალიც.

თუ არ გვინდა ჩვენს ქვეყანას ასეთივე ბედი ეწვიოს, თუ არ გვინდა მონათ ვიქცეთ ოსმალთა ფაშებისა, უნდა დაუყოვნებლივ მოვკიდოთ ხელი იარაღს, და ვაჩვენოთ მტერს, რომ ზავის მოსურნეთ ბრძოლის უნარიც შეგვწევს ჩვენი სურვილის განსახორციელებლათ. მხოლოდ ამით ვაიძულებთ მოსისხარ ოსმალებს ჩვენ მიერ წაყენებულ დემოკრატიულ ზავზე დათანხმდენ და ჩვენი კუთხეების ჩამოჭრაზე ხელი აიღონ.

მხოლოდ ამით ვიხსნით რევოლიუციას გასრესისაგან და ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ერს მოწყვეტასა და აოხრებისაგან.

ვისაც უნდა ზავი—ემზადოს ომისათვის. ზავს მხოლოდ იარაღი მოგვიტანს.

## ბრძოლა ზავისთვის

ამ თვის ოცდაექვსს სეიმმა არაჩვეულებრივი სხდომა გამართა, რაც გამოწვეული იყო ოსმალეთის მთავარსარდლის, ვეხიბ-ფაშას დეპეშით. როგორც მკითხველებმა უკვე იციან, ოსმალეთი ითხოვს ბათუმ-ყარს-არდაგანის დაცლას. საბუთათ ასახელებს ბალშევიკებთან დადებულ ზავს, რომლის ძალით მას ეს ადგილები ეძლევა, ხოლო ამ საბუთისთვის ხორცის შესასხმელათ ოსმალეთი ჩვენს საზღვრებზე ჯარებს აძლიერებს და საომრათ ემზადება. ამავე დროს ოსმალეთი იტყობინება, რომ მისი დელეგატები უკვე გაემგზავრენ ტრაპიზონში ჩვენი დელეგატების შესახვედრათ და ზავზე მოსალაპარაკებლათ.

შეიძლება, ზოგიერთებს საეჭვოთ მოეჩვენოს ასეთ ცნობების სინამდვილე. თუ ჯარებს აგროვებს ოსმალეთი,—საზავო მოსალაპარაკებლათ დელეგატებს აღარ გამოგზავნიდა და თუ დელეგატებს გზავნის, ჯარების გაძლიერების ამბავი მოგონილი იქნებაო.

ჩვენ კი, პირიქით, ვფიქრობთ, რომ ეს ცნობა მართალია და სხვა გვარათ არც შეიძლება იყოს.

ერთის მხრით ოსმალეთს ზავი წყურია. ის დიდი ხანია გაბმულია ომში და საშინლათ დაქანცულია, მას ინგლისის შიშიც აქვს და ამიტომ ჩვენს გადამტერებას ერიდება. ეს დღესავით ნათელია.

მაგრამ, მეორე მხრით, ოსმალეთს კარგ ლუკმათ მიაჩნია ამიერ-კავკასია, რომელიც მას სიმდიდრესაც მისცემს და ძლიერებასაც. თავისთავად ბათომს და ყარსს მისთვის მნიშვნელობა არ აქვს: რათ უნდა ბათომი, როცა მას აქვს სმირნა, ტრაპიზონი და სტამბოლი; რას შესძენს მას ყარსი—არაფერს. ეს ადგილები ოსმალეთს იმისთვის სჭირია, რომ შემდეგ დაუბრკოლებლივ მიაღწიოს თვით კავკასიის მთებამდე და იქ გამაგრდეს. და თუმცა უძლურია ოსმალეთი, მაგრამ მისი მოკავშირის ბედი მასაც იტაცებს: ოსმალეთს სურს აქაც იგივე გაიმეოროს, რაც გერმანიამ რუსეთს უყო: ბრესტში საზავო მოლაპარაკებას ახდენდა და ამავე დროს საომრად ემზადებოდა. ოსმალეთი ალბათ ჩვენც ისე გვიყურებს, როგორც ბალშევიკებს: ზავზე მოლაპარაკების დროს ძილს მიეცემიან და ჩვენც ადვილათ დავიპყრობთ სასურველ ადგილებსო.

კომისარიატმა კარგათ გაიგო ოსმალეთის ოინები: სეიმის თავმჯდომარის, ჩხეიძის, და კომისარიატის მეთაურის, გეგეჭკორის, სახელით ყველგან დეპეშები დაუგზავნიათ და შეუტყობინებიათ, რომ ამიერ-კავკასიას ზავი სურს, მაგრამ სამარცხვინო ზავს ის ხელს არ მოაწერს.

კომისარიატის ასეთი ნაბიჯი სეიმმა ერთხმათ მოიწონა და ამ ერთსულოვნობით ქვეყანას ამცნო, რომ ამიერ-კავკასიის ხალხებს სხვისი მიწების დაპყრობა არ სურთ, მაგრამ მონობის ატანაც არ შეუძლიათ. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ეს ერთსულოვნობა თავს იჩენს აგრეთვე მეორე ნაბიჯში, რომელიც სეიმმა უნდა გადადგას. ეს ნაბიჯია დაუყოვნებლივ ჯარის შეგროვება და საზღვრებისაკენ გაგზავნა. ჩვენს დელეგაციას სეიმმა ერთხმათ დაავალა ოსმალეთთან დემოკრატიულ ზავის შეკვრას ეცადოს. სეიმი ვალდებულია ჩვენს დელეგაციას ჯარით გაუმაგროს ზურგი და ამით მოლაპარაკება გაუადვილოს.

26 თებერვლის სხდომა ამიერ-კავკასიის სეიმისა თავდებია იმის, რომ სეიმი ასეთს ნაბიჯს გადასდგამს და ხალხიც მას მხურვალეთ დაუჭერს მხარს. ოდნავ გაუგებრობა დაბადა მუსულმანების განცხადებამ: ჩვენც დემოკრატიული ზავი გვსურს, ბათუმის და ყარსის დათმობა ოსმალეთისთვის არც ჩვენ გვინდა, მაგრამ დავაცადოთ ტრაპიზონში რას იტყვიან და იმის მიხედვით ვიმოქმედოთო.

ჩვენ ეჭვი არ შეგვაქვს მუსულმანების გულწრფელობაში: ისინიც დაინტერესებული არიან ამიერ-კავკასიის ცალკე მოწყობაში და ოსმალეთის ბატონობა მათთვის სულაც არ არის სასურველი. მთელი ერის წარმომადგენლებს არც შიში ექნებათ ვისმესი და ამიტომ ტყუილის თქმას ისინი არ იკადრებენ. და სწორეთ იმიტომ, რომ მათაც კარგათ მოეხსენებათ იარაღის საჭიროება, ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ სეიმი სულ ახლო მომავალში გადასჭრის თავდაცვის საკითხს და ხალხის შეიარაღების მოწყობას შეუდგება.

ეს დღეს უაღრესათ საჭიროა. ჩვენ გვწყურია დემოკრატიული ზავი, ხოლო მის დასაცავათ შეიარაღება აუცილებელია.

რევოლიუცია, რომელიც უკვე მეორე წელიწადში გადადგა, განსაცდელშია. თუ ოსმალეთი მოვიდა ხალხი დაკარგავს თავისუფლებას, კერძოთ გლეხები უნდა გამოეთხოვონ მიწებს.

დემოკრატიამ უნდა დაამტკიცოს, რომ ის ღირსია თავისუფლების და ადამიანურ ცხოვრების. ის ან იბრძოლებს, ან სამარეს გაითხრის და გულზე დაიწერს: აქ განისვენებო.

არა გვგონია, რომ ხალხმა სიკვდილი ისურვოს და ამიტომ მოვუწოდებთ მას: აღზდეგ, ნუ გძინავს, კარს განსაცდელი მოგდგომია.

და ჩვენი ღრმა რწმენით ხალხი იარაღს მოჰკიდებს ხელს.

## ნოე ჟორდანიას სიტყვა

(წარმოთქმული ამიერ-კავკასიის სეიმის 26 თებერვლის სხდომაზე).

მოქალაქენო, სეიმის წევრნო! ყველა თქვენგანმა იცის, რომ ჩვენი რევოლიუციის პირველ დღიდანვე ჩვენი მისწრაფება იყო და არის ზავის ჩამოგდება, რომ საზოგადოთ დემოკრატია დაინტერესებული არ არის საშინელი ომით და მან თავიდანვე მიზნათ დაისახა რამდენათაც შესაძლებელი იყო უმტკივნეულოდ ბოლო მოეღო ამ ომისთვის. მაგრამ, უნდა გითხრათ, რომ დემოკრატია ყველა ზავზე ვერ დასთანხმდება, ჩვენ ბალშევიკები არა ვართ, რომ სიტყვით გავაბედნიეროთ ხალხი და საქმით კი გავყიდოთ (ხმები: „მართალია". ტაში), ჩვენ ტოლსტოველები არა ვართ, რომ ბოროტებას წინააღმდეგობა არ გავუწიოთ. როცა დემოკრატიას საფრთხე მოელის შიგნიდან ან გარედან სულ ერთია რომელი მხრიდანაც არ უნდა იყოს ის, ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ ამ დემოკრატიისთვის. დემოკრატიული ზავი ემყარება შემდეგ დებულებას: ზავი უანექსიო და უკონტრიბუციო, ერთა თვითგამორკვევის ნიადაგზე და ჩვენ ვცდილობთ ჩვენ საზღვრებზე მაინც გავიყვანოთ ეს ფორმულა. რა მოსაზრებით გვინდა ჩვენ ამ ფორმულის ცხოვრებაში გატარება. არა ამ ფორმულის ან მისი ლამაზი სიტყვების სიყვარულით; არა, ჩვენ აქ ვხელმძღვანელობთ კულტურულ, ეკონომიურ და პოლიტიკურ ხასიათის მოსაზრებით. თუ ამ მოსაზრებით შევხედავთ ჩვენ. ჩვენ საზღვრებს, დავინახავთ, რომ იმ ადგილების ჩამოჭრით, რომლების წაღებაც უნდათ, ჩვენ სასიკვდილო ლახვარს ჩავსცემთ მთელ ამიერ-კავ. კულტურულ ეკონომიურ და პოლიტიკური მხრით.

ბათუმი ჩვენთვის იგივეა, რაც რუსეთისთვის პეტროგრადი, სმირნა—ოსმალეთისათვის. ეს არის ერთათ-ერთი გასავალი შავ-ზღვაში, და მხოლოდ ამის წყალობით ამიერ-კავკასიას შეძლება მიეცა კულტურულათ და ეკონომიურათ განვითარების, საზოგადოთ ის ევროპის კულტურულ ქვეყნებს დაემსგავსა. ბათუმი ევროპასთან შავი ზღვით არის შეერთებული. თუ ბათუმი წაიღეს, ბაქო განცალკევებული დარჩება და იქ ყოველივე წარმოება ჩაიხრჩობა. თქვენ რომ ბათუმი ჩამოსჭრათ, მთელი მხარე უნავთსადგუროთ დარჩება, უმეტესათ დასავლეთი საქართველო, რომელიც მთელ კულტურას ბათუმის საშუალებით ღებულობს.

აქვს ასეთი მნიშვნელობა ბათუმს ოსმალეთისთვის? ასეთი მნიშვნელობა ოსმალეთისთვის ბათუმს არა აქვს. როცა ჩვენ ბათუმი მივიღეთ, ის წარმოადგენდენ ერთ მიგდებულ ადგილს იმიტომ, რომ ბათუმს ეკონომიური და კულტურული მდგომარეობა ასეთია, რომ ოსმალეთის განვითარება ხდებოდა არა მისი საშუალებით.

ავიღოთ ქალაქი ყარსი. ეს ქალაქი წარმოადგენს პირველ ხარისხოვან სიმაგრეს, და ვინც ქ. ყარსი შემოვა, ის შემოიჭრება ამიერ-კავკასიის გულში და ყარსში და მის ოლქში გაბატონებული მთავრობა იბატონებს მთელ ამიერ-კავკასიაზე. მაშასადამე, ჩვენ არა გვაქვს ბუნებრივი სიმაგრეები, რომ უზრუნველ ვყოთ ჩვენი საზღვრები. და რომ ყარსი ჩამოგვშორდეს, საზღვრების დასაცავათ მშვიდობიანობის დროსაც საჭირო იქნება დიდძალი ჯარი, ვინაიდან საჭირო იქნება ამ საზღვრების დაცვა ავაზაკების ბრბოსა და კონტრაბანდისტებისაგან. თუ შეიქნა ისეთი ხელოვნური საზღვრები, როგორითაც ეხლა ფიქრობენ ჩვენთვის ხელფეხის შეკვრას, ჩვენ იძულებული ვიქნებით ვიყოლიოთ დიდძალი ჯარი.

მეორეს მხრით, უანექსიო ზავის ფორმულის ცხოვრებაში გასატარებლათ ჩვენ გვაქვს სხვა პოლიტიკური მოსაზრებებიც: ჩვენ მოვახდინეთ დიდი რევოლიუცია იმიტომ კი არა, რომ ერთი მონობიდან მეორე მონობაში ჩავარდეთ. (ტაში. ხმები: „მართალია"). ჩვენ ვფიქრობთ, რომ ის თავისუფლება, რომელიც ჩვენ მოვიპოვეთ და ის რეფორმები, რომელიც ჩვენ უნდა გავატაროთ ცხოვრებაში—ჩვენ უნდა გავატაროთ დამოუკიდებლათ, სხვისი—ვინც უნდა იყოს იგი უშუამავლოთ. (ხმები: „მართალია"). თუ ჩვენ გარეშე მოვლენას დავემორჩილეთ, თუ ჩვენ ოსმალეთის მმართველებმა გვიკარნახეს, ჩვენ უნდა გამოვეშვიდობოთ რევოლიუციასა და თავისუფლებას (ხმები: „მართალია").

ამიერ-კავ. დემ., რომელიც უპირველეს ყოვლისა დაინტერესებულია მიწის საკითხის გადაჭრაში, იცის, რომ ჩვენ მიერ ეს საკითხი სულ სხვაფერ იჭრება, ვინემ ოსმალეთში. თუ ჩვენც თითქმის ისეთივე წყობილება გვექნა, როგორიც არის ოსმალეთში,—და თქვენ იცით, რომ ოსმალეთში მიწის საკითხის გადაჭრა სხვაფერ დგას, ვინემ თქვენ ჰფიქრობთ მის გადაჭრას,—ამიერ-კავკასიის დემოკრატია, რომელიც უპირველეს ყოვლისა დაინტერესებულია ამ საკითხის გადაჭრაში, სავსებით დაჰკარგავს ამის შესაძლებლობას. ჩვენთვის ქვეყნის დაცვა არის რევოლიუციის დაცვა. როცა ხალხი ამაში დარწმუნდება და დაინახავს საფრთხეს, ის აიღებს ხელში იმ იარაღს, რომელიც დღეს ხელიდან გააგდო.

მაგრამ ჩვენ გვაქვს მეორე ფორმულა—ერთა თვითგამორკვევა და, არ ვიცი რატომ, ამ დებულების გამოყენება უნდათ მხოლოდ ჩვენთან დამოკიდებულებაში. თუ ამას იზიარებთ, დაუთმეთ ლიფლიანდია, ესტლიანდია და სხვ. გერმანიას, ყარსისა და ბათუმის ოლქები კი—ოსმალეთს. მაგრამ ჩვენ ამ ფორმულას ვაყენებთ არა მარტო ჩვენთვის, არამედ ყველა სახელმწიფოებისათვის. ჩვენ გვსურს დავიცვათ ძველი საზღვრები. ვინაიდან ჩვენ ვიცავთ ამ ფორმულას, ცხადია, ჩვენ გვსურს 1914 წლის საზღვრების აღდგენა, რომელიც მოსპეს იმპერიალისტებმა. ამ საზღვრებში ჩვენ მოვითხოვთ, რომ თვითეულ ერმა თვითონ გამოარკვიოს თავის ბედი. თუ ოსმალეთი ჩვენ მოგვთხოვს ანექსიას, იმავე უფლებით შეგვიძლია ჩვენ მოვთხოვოთ ანექსია ოსმალეთს, თუ მას შეუძლია გვითხრას, რომ სარწმუნოებრივი მოსაზრებით აჭარა და ყარსის ოლქი უნდა შეუერთდეს ოსმალეთსო, ჩვენ შეგვიძლია უთხრათ, რომ იმავე მოსაზრებით სომხეთი უნდა შემოგვიერთდეს ჩვენ. მაგრამ ჩვენ არ ვამბობთ ამას, ჩვენ ვამბობთ, რომ ოსმალეთისა და ამიერ-კავკასიის საზღვრებში ხალხები თვით უნდა გამოერკვენ და ჩვენ ვფიქრობთ, რომ როცა აღდგენილ იქნება ძველი საზღვრები, თვითეული ოლქი მიიღებს სრულ შესაძლებლობას, რომ გამოაშკარავოს თავის პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრება და გახდეს თავის ბედის მჭედელი. თუ მაშინ ყარსისა და ბათუმის ოლქები იტყვიან, რომ მათ უნდათ დამოუკიდებლათ ცხოვრება, რომ ჰქონდეთ თავის მმართველობა, ჩვენ რა თქმა უნდა, ვიტყვით—კი. რა თქმა უნდა ვიცნობთ ამ ოლქების სრულ დამოუკიდებლობას. მაშასადამე ეს ოლქები ერკვევიან ძველ საზღვრებში და თუ ხიშტის ძალით, რომელიმე უცხო სახელმწიფოს ჯარი შემოდის აქ და აცხადებს, რომ აი მე ვარ აქ და ჩემი აქ ყოფნის დროს თქვენ გამოერკვიეთო, ეს იქნება არა ხალხის, არამედ ხიშტის თვით-გამორკვევა. იმ თავისუფლების დროს, რომელიც ჩვენ გვაქვს, ჩვენ ვფიქრობთ, რომ კავკასიის ერები შესძლებენ საერთო შეთანხმებით მოაწყონ თავის ცხოვრება მშვიდობიანათ, რომ ერთმანეთს ხელი არ შეუშალონ.

მაშასადამე, ქვეყნის დაცვა ჩვენთვის ნიშნავს არა მარტო ეკონომიურ და პოლიტიკურ, არამედ ეროვნულ თავისუფლების დაცვასაც. მაგრამ ჩვენ, როგორც მე ვთქვი, ვცდილობთ, რომ ოსმალეთმა შეკრას ჩვენთან საპატიო ზავი. ჩვენ გვსურს, რომ ჩვენს პატარა ქვეყანას ოსმალეთთან, სპარსეთთან და მეზობელ სახელმწიფოებთან ჰქონდეს მშვიდობიანი და მეგობრული დამოკიდებულება. მაგრამ ჩვენ თუ ვიცით მორიგება უნდა ვთქვათ, რომ შევსძლებთ დავიცვათ ჩვენი არსებობის უფლებაც და ჩვენ არ დავმცირდებით ისე, რომ ხელი მოვაწეროთ სამარცხვინო ზავს და სასიკვდილო ლახვარი ჩავსცეთ ჩვენს ქვეყანას. (ხანგრძლივი, მქუხარე ტაში).

## „ქართველი გლეხ-კაცობის მფარველი თავად-აზნაურობა"

(იხ. ი. ციციშვილის წერილი „საქართველო" № 38).

მკითხველმა იცის, თუ რა აღშფოთება გამოიწვია ს.-დემოკრატიაში ქართლში მომხდარმა ამბებმა. და ეს ასეც უნდა იყოს, ვინაიდან მასსიური პარტია, ვერ შეურიგდება ისეთ ბარბაროსულ საშუალებას, როგორიც არი სიკვდილი, დარბევა და დაწვა-განადგურება მოწინაამდეგისა. მაგრამ ამა თუ იმ მოვლენის დაგმობა როდი კმარა. საჭიროა აგრეთვე მისი მიზეზების გამოძებნაც. უნდა ვთქვათ, რომ თავად-აზნაურობამ თავის მოქმედებით ბევრი იმისთანა დაანახვა გლეხებს, რასაც სირცხვილით უნდა დაეწვა მეოცე საუკუნის, თუ გინდ აზნაურიც.

მაგრამ „საქართველო" და მისი პუბლიცისტი მაგარი შუბლის პატრონი ყოფილან და ძველებურ ლათაიებს მემამულის გლეხებისადმი „მფარველობაზე" განაგრძობენ.

ძველ ამბებს მე არ გამოვუდგები; მსურს მხოლოდ ერთი მაგალითით ნათელვყო ჩვენი თავად-აზნაურობის ეხლანდელი „მფარველობა".

ჩემ ხელთ ერთი დოკუმენტია; რა თქმა უნდა, რუსულ ენაზე დაწერილი, ვინაიდან ჩვენი ბრწყინვალე წოდება არასოდეს არ წყალობდა დედა ენას. შინაარსი ამ დოკუმენტის შემდეგია: „ილიკო! გთხოვთ მაცნობოთ, რას ფიქრობენ ნიჩბისის და ხანდაკის გლეხები; რატომ არ ჩამოდიან ნასყიდობის ქაღალდის გასაკეთებლათ. მდგომარეობა ასეთია: ფული მე სრულიად მივიღე და თუ ნასყიდობას არ გააკეთებთ, თიბათვეში მამული ბანკს დარჩება, ვინაიდან დაგირავებულია და მე ფულს არ შევიტან, რადგანაც ეს გლეხების ვალია მას შემდეგ, რაც რომ მე მათ მამული მივყიდე (запродалъ). ჩამოდით და აგიხსნით, რომ პირდაპირ გლეხების ინტერესი მოითხოვს ნასყიდობის გაკეთებას, რადგანაც წინააღმდეგ შემთხვევაში ფულსაც დაკარგავენ და მამულიც სხვის ხელში გადავა. 26|IV—19".

რომ „მფარველობა" უფრო აშკარათ ვყოთ, საჭიროა შემდეგი განმარტება.

14 თებერვალს, 1917 წ., ერთ-ერთ ბრწყინვალე თავადმა ზემოთ დასახელებულ სოფლების მცხოვრებთ პირობით შეეკრა—25 თებერვლამდე ვალდებული ვარ ნასყიდობის ქაღალდი გაგიკეთოთ, რომლის ძალით თქვენ გადმოგეცემათ ამ სოფლებში მდებარე ჩემი მამული, ზომით ათას დესეტინამდე. ვადაზე შესრულებული არ იქნა პირობა.

იმ დოკუმენტს, რომელიც ნოტარიალური წესით არის გაკეთებული და მუშათა სექციის არქივში ინახება, ქვევით დამატებით წარწერა აქვს: გლეხების სურვილისამებრ ნასყიდობის ქაღალდის გაკეთების ვადა გაგრძელებულია პირველ აპრილამდე, თუმცაღა არსაიდან არ ჩანს, რომ ეს გლეხების სურვილი ყოფილიყოს. პირიქით, სიყალბე ადვილათ დაინახვება, თუ მხედველობაში მიიღებთ, რომ გლეხებმა ფული სრულიად გადაიხადეს ასი ათას მანეთზე მეტი, როდესაც პირობის ძალით ფულის დიდი ნაწილი ნასყიდობის ქაღალდის გაკეთების დღეს უნდა გაეღოთ.

თქვენ შეგვიძლიათ წარმოიდგინოთ გლეხების რწმუნებულების მდგომარეობა. ამათ მინდობილი ქონდათ მამული დაემტკიცებიათ, გლეხებმა ფული სრულიათ მოაგროვეს ვაი-ვაგლახით და ნასყიდობის ქაღალდს კი ვერ ეღირსენ. მათ ათასნაირი ეჭვი დაებადათ თავიანთ არჩეულების სიფაქიზეში. ეს უკანასკნელები მუდამ გაბმული იყვენ ქსანკა-თფილისს შუა. აქ კი ბრწყინვალე თავადის კარებთან დაეყუდებოდენ და უცდიდენ მის გამოსვლას მაშინ, როდესაც სოფლის მუშაობა გაჩაღებული იყო.

შემდეგ, როდესაც არაფერი არ გაუვიდათ, მუშათა საბჭოს მიმართეს. უკანასკნელის ჩარევამ კი გამოიწვია ზემოთ მოყვანილი წერილი.

შემდეგ თავადი უფრო გათამამდა და 16 მაისის თარიღით წერილში შემდეგს ამბობს; „14 თებერვლის პირობის ძალით თქვენ უნდა გამოცხადებულიყავით თფილისში ნასყიდობის ქაღალდის გასაკეთებლათ პირველ აპრილს".

დოკუმენტში კი, რომელიც ინახება მუშათა სექციის არქივში, ასე სწერია: „ნასყიდობის ქაღალდი უნდა გაკეთდეს 25 თებერვლამდე. ეს ვადა გაგრძელებულია პირველ აპრილამდე". ეს ნიშნავს შემდეგს: ნასყიდობის ქაღალდი მაინც და მაინც 25 თებერვალს კი არ უნდა გაკეთებულიყო, არამედ ყოველ დღე 14 თებერვლიდან დაწყებული და თუ დაუჯერებთ თავადს, რომ ვადის გაგრძელება გლეხებმა მოისურვეს, აქაც მდგომარეობა იგივეა: პირველ აპრილამდე ყოველ დღე შეიძლებოდა ხსენებულ ნასყიდობის დამტკიცება. ეს იმიტომ, რომ იქ არ იყო ნათქვამი გადაჭრით: ნასყიდობის ქაღალდი უნდა დამტკიცდეს „25 თებერვალს" ან და „პირველ აპრილს" ეს თუ ასეა, საიდან უნდა ცოდნოდათ გლეხებს როდის გაკეთდებოდა ეს ქაღალდი, რომ თფილისში ჩამოსულიყვენ ან და მიიღო რაიმე ზომები თავადმა, გლეხებისთვის ეცნობებია, ამ და ამ დღეს ამოდით თფილისში ნასყიდობის ქაღალდს ვაკეთებო? თავის დროზე მუშათა სექციის მონდობილობით ყოველი ზომა მივიღეთ, მაგრამ ვერავითარი კვალი ვერ ამოვაჩინეთ ამგვარი მოგონებისა და მოწოდებისა, ანდა საღი ჭკუაზე მყოფი კაცი დაიჯერებს კი, რომ ეს ასე იყოს; გლეხებმა გადაიხადოს ასი ათასზე მეტი და ქაღალდები არ მოითხოვოს? აშკარაა, რომ თავადი აქ სტყუის და სტყუის იმიტომ, რომ მდგომარეობა აიძულებს: ფულების დაბრუნება ეძნელება, თუმცაღა კანონი, რომელსაც ის ეთაყვანება, ავალებს მას, ფული დააბრუნოს; მეორეს მხრით, ნასყიდობის ქაღალდის გაკეთება ვერ მოახერხა, ანდა არ მოისურვა. თავადი ტყუილებს კადრულობს, როდესაც გლეხებს ეუბნება: „ბანკის ვალი ამიერიდან თქვენ უნდა იხადოთ, რადგანაც მე თავისუფალი ვარ თქვენთან პირობის შეკვრის შემდეგო". აქ ორნაირი ტყუილია და ისეთი ტყუილი, რომელსაც ვერც სისხლის სამართალი ინელებს. ზემოთ მოყვანილი ამონაწერი ეკუთვნის ნაფიც ვექილთა წოდების წევრს და როგორც იურიდიული ცოდნით აღჭურვილმა, მან იცის, რომ თუ ნასყიდობის ქაღალდი ვადაზე არ არის გაკეთებული ორივე მხარე თავისუფალია, ე. ი. მდგომარეობა ისეთია, როგორიც იყო პირობის დაწერამდე. არსებულ კანონების მიხედვით თავადი ვალდებული იყო, ვინაიდან ნასყიდობის ქაღალდი არ გააკეთა, აღებული ფული დაებრუნებია და პირობაში აღთქმული ჯარიმაც უნდა გადაეხადა. (სამოქ. დებ. მეათე ტომი, მუხლი 1682).

ეს წერილის ავტორმა ყველაფერი იცოდა, მარა გლეხებს დაუმალა. აქვე უნდა დავუმატო, რომ ჩვენ თავად ნაფიც ვექილს მუდამ გვერდში უდგა ერთ-ერთი გამოჩენილი /ქართველი ნაფიცი ვექილი, რომელსაც თქვენ დღეს რევოლიუციონურ ორგანიზაციების კრებაზე დაინახავთ, თითქმის ყოველთვის. ამრიგათ ამ ტყუილებს და მახინაციებს სავსებით იზიარებს ეხლახან ჩვენ კრებებზე მოსიარულე გამოჩენილი ნაფიცი ვექილიც. გარდა ამისა ყველაფერი ეს კარგათ მოეხსენება „საქართველოს" ერთ-ერთ სულის ჩამდგმელს, რომელიც იმ ხანებში მეგობრულათ მირჩევდა, ამ საქმისთვის თავი დამენებებინა.

ეს დოკუმენტი მე ერთი მოვიხსენიე. სხვას, რა თქმა უნდა, მეტი საბუთები ექნება იმისა, თუ როგორ „მფარველობას" უწევდენ და უწევენ ჩვენი თავადები გლეხებს. და თუ ამგვარ მაგალითებს ადგილი ქონდა ქართლის გლეხის ცხოვრებაში, მე ვეკითხები „საქართველოს" პუბლიცისტს: უკეთესი აგიტაცია შეიძლება გასწიოს მემამულის წინააღმდეგ გარეშე პირმა. უწოდებს „საქართველო" თავადის ამგვარ საქციელს გლეხებისადმი „მფარველობას"? ნუ თუ ეს არ არის საკმაო, რომ ხანდაკელები და ნიჩბისელები „საქართველოს" პუბლიცისტს არ დაეთანხმონ? რა თქმა უნდა, ისინი სულ სხვა, საღი, შეხედულობის არიან. ეს ჩვენთვის სადავო არ არის.

მაგრამ სადავო არ არის არც ის გარემოება, რომ თავადების ამგვარი საქციელი ანოყივრებს ნიადაგს და უადვილებს ყოველ ჯურის შავრაზმელებს აკეთონ თავიანი ბნელი საქმე. პირდაპირ ამის შედეგია ის სამწუხარო და აღმაშფოთებელი მოვლენები, რომელსაც ადგილი ქონდა ქართლში და რომელმაც არა ერთი და ორი უდანაშაულო ადამიანს მოუსპო სიცოცხლე.

აი თვით „საქართველო" თავისი პუბლიცისტით ყოველ ღონეს ხმარობს, რათა ამგვარ უკუღმართ საქციელს ნიადაგი გაუმაგროს; ის განზრახ ჩადის ამას, როდესაც თავის ცოდვებს და ბოროტ განზრახვებს სხვას ახვევს თავზე.

მე ვერავინ დამაჯერებს, რომ იაკობ და ივანე ოსეფაშვილები (ნიჩბისელი გლეხების რწმუნებულებია, რომელთაც, ალბათ, დაატყდათ თავიანთ ამომრჩევლების რისხვა) გლეხებს აქეთკენ მოუწოდებდენ.

ვაბოლოვებ წერილს და მინდა მოვაგონო „მფარველ" მემამულეთ და ზოგიერთ პუბლიცისტს, რომ ხალხი დიდსულოვანი და განუსაზღვრელი სიკეთით არის აღსავსე. ამიტომ ის გუშინდელ მისდამი ბოროტებას უყურადღებოთ ტოვებს, თუ კი დღეიდან მაინც არავითარ სიყალბეს არ ხედავს და არ მოელის მოპირდაპირისაგან.

ვიმეორებ, ქართლის შეგნებულ გლეხობას ამ ყაჩაღობა-დარბევაში წილი არ უდევს. მარა ეს არა კმარა. საჭიროა, შეგნებულ ნაწილმა ისეთი ნიადაგი შექმნას, რომ ყაჩაღების თარეშს მოეღოს ბოლო. და ეს არც ისე ძნელია. ამისთვის საჭიროა მჭიდრო, შედუღებული კავშირი ყველა გლეხებისა ადგილობრივ დემოკრატიულ ორგანიზაციების სახით.

პ. კ—ნი.

## საზავო მოლაპარაკება ოსმალეთთან

გუშინ, 28 თებერვალს, ამიერ-კავკასიის სეიმისა და მთავრობის სახელზე ტრაპიზონიდან აკაკი ჩხენკელისაგან შემდეგი დეპეშა მოვიდა: „ოსმალეთის დელეგატია მოვიდა დღეს, 27 თებერვალს კრეისერი—„შესტერით". დელეგაცია 5 კაცისაგან შესდგება. საზღვაო პოდპოლკოვნიკის რაუფ-ბეის თავმჯდომარეობით. დელეგაციაში ორი არა სამხედრო პირია. დელეგაციას მოსვლისას „კრეისერზე" მიესალმა ჩვენი დელეგაციის მდივანი. ამის შემდეგ ოსმალეთის დელეგაციის ერთი წევრთაგანი მოვიდა ჩვენთან, რომ აგვერჩია შესახვედრი ადგილი და დაგვენიშნა დრო. ზოგიერთი საკითხების წინასწარ გამოსარკვევად მე და რაუფ-ბეიმ ვინახულეთ ერთმანერთი იმ ბინაზე, სადაც ჩვენი სხდომები გაიმართება. ვინაიდან ჩვენ არ ვიცით ოსმალეთის მთავრობის პასუხი თქვენს დეპეშაზე ბათუმის, ყარსის და არდაგანის ოლქების დაცლის შესახებ, მე შევეკითხე ოსმალეთის დელეგაციის თავმჯდომარეს: მოეხსენება თუ არა მას ოსმალეთის მთავრობის წინადადება ამის შესახებ და ესმის მას ეს ისე, თითქოს ოსმალეთის მთავრობა ასეთი წინადადებით საზავო მოლაპარაკების წინააღმდეგი იყოს. მან გვიპასუხა, რომ ამის შესახებ მე არაფერი არ ვიციო და გვთხოვა ეს ჩვენი შეკითხვა წერილობით წაგვერდგინა. საპასუხოდ, რომ წერილობითვე მოეცათ ჩვენთვის პასუხი, ოსმალებმა მოითხოვეს დრო. ამასთანავე მათ განაცხადეს, რომ ჩვენი დანიშნულებაა მკვიდრი ზავის შეკვრაო. დღეს საღამოს ნაპირად გადავალთ და შევუდგებით საზავო მოლაპარაკებას".

## რადიო-დეპეშები

ცარსკოე სელოდან ბათუმის რადიო ტელეგრაფს შემდეგი ცნობა მიუღია: სახალხო საბჭოთა მთავრობამ ბრძანება გასცა, რათა ყოველგვარი წერილი და დეპეშა მთავრობის სახელზე იგზავნებოდეს მოსკოვშიო. ამ გვარი ცნობიდან ზოგიერთებს ის დასკვნა გამოჰყავთ, თითქოს პეტროგრადი ნემცებს აეღოთ.

---

ბათუმში მიიღეს შემდეგი რადიო-დეპეშა—**ნოვოროსიისკიდან:**

ყველა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებს და ყველა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ქერჩში, ფეოდოსიაში, ევპატორიაში, ოდესაში, ნიკოლაევში და ხერსონში. ნოვოროსიისკი გავსებულია გამოქცეულებით, მდგომარეობა საზარელია, პურისა და სანოვაგის შემოზიდვა სრულებით შეწყვეტილია. ახლოვდება შიმშილობა, რადგანაც მთელი ორი თვეა შეწყვეტილია რკინის გზის მიმოსვლა ყუბანთან. გაგვაგებინეთ რამდენი გამოქცეულების მიღება შეგიძლიათ რუსეთის შუაგულში გასაგზავნათ. გვიპასუხეთ საჩქაროთ. ხელს აწერს სამხედრო-საზღვაო კომიტეტი და სხვა ორგანიზაციები.

---

ერთ დეპეშაში, რომელიც გაგზავნილი უნდა იყოს რუსეთიდან გერმანიაში და რომელი დეპეშის ნაწილი დაიჭირა ბათუმის რადიომ, სხვათა შორის, სწერია: სარწმუნო წყაროებიდან შეკრებილი ცნობებით ფინლიანდიაში იმყოფება უდისციპლინო რუსის ჯარისკაცების ბრბოები. რეველის აღების შემდეგაც ფინლიანდიაში გადავიდენ წითელ გვარდიელები. ამ წეს-რიგს მოკლებულ ბრბოებს სურთ ფინლიანდიაში უწესოება მოახდინონ. მათი რიცხვი რამდენიმე ათი ათასი იქნება. უკეთუ ეს ბრბოები რუსეთის მთავრობის გამგეობის ქვეშ არ იმყოფებიან, რუსეთი არავითარ ძალას აღარ წარმოადგენს და აქ გერმანიას ფინლიანდიის მთავრობასთან ერთად შეუძლია წესრიგის დამყარება. რამდენათ ნემცების ჯარები ქვეყნის შუაგულში მიდიან, იმდენათ ხორბალი და სხვა საკვები სურსათი მრავლათ არის. ლუცკში, კოვნოში და როვნოში ყველაფრის შოვნა შეიძლება, თუმცა ფასები დიდია, მაგრამ რამდენათ წინ მივიწევთ სასურსათო საკითხი იმდენათ ჰკარგავს მწვავე ხასიათს. ვოლინის ნოვგოროდში ბაზარში ბლომათ იყიდება ხორცი და ქონი. გირვანქა ღირს 3 მარკა. კვერცხი 15 ფენიგი ღირს ცალი. დიდ სასტუმროებში ჟიტომირში უხვად სჭამენ. აქ არ გრძნობენ არც ჩაის, ყავას და შაქრის ნაკლებობას. თუ რომელიმე ალაგას სურსათის ნაკლებობაა, ეს აიხსნება რკინის გზის მიმოსვლის არევდარევით და საზოგადოთ გამეფებული ანარქიით. როგორც კი აღდგენილი იქნება წეს-რიგი, შესაძლებელია სურსათის ბლომათ გატანა".

## კავკასიის ფრონტი

24 თებერვალი.

ერზერუმის მიმართულებით 21 თებერვალს ილდინსკის რაზმმა დაიჭირა სოფ. აგადირ-ხანდარე (ერზერუმიდან დასავლეთით 20 ვერსზე). ტაუზუდჯიკიდან ოსმალების ორმა როტამ შემოტევა დაიწყო, მაგრამ ჩვენმა ზარბაზნებმა და ტყვიის მფრქვეველებმა შეაჩერეს. დავცენ სოფელ არჩიკს, მაგრამ უკუვაქციეთ. სროლის დროს დაიჭრა პორუჩიკი შაბანიანი. მზვერავებმა სოფ. კასანის, სუვარანის და ხორბანის ახლოს აღმოაჩინეს ქურთების ბრბო.

25 თებერვალს არავითარი ცნობა არ მოსულა. 26 თებერვალს ხნისის მიმართულებით სოფ. ხალიფა-კუმის დაჭერის დროს ჩვენ ჯარებს სროლა ჰქონდათ ქურთებთან. სოფ. კიუმ-კიუმ ვადიკას რაიონში სროლაა. ბრძოლით ავიღეთ სოფ. კოდნიკი. სულუკში და ალდიჯანში აღმოაჩინეს ოსმალთა რეგულიარული ჯარი. სხვა მხრიდან ცნობა არ მოსულა.

შტაბიდამ.

## ნ. ჩხეიძის წერილი ევ. გეგეჭკორისადმი მიწერილი

დიდათ პატივცემულო ევგენი პეტრეს ძევ!

სეიმის 24 თებერვლის სხდომის დადგენილების თანახმად, რითაც პრეზიდიუმს უფლება ეძლევა მიმართოს ამა თუ იმ პირს მთავრობის შესადგენათ, სეიმის პრეზიდიუმმა დაადგინა მოგმართოსთ თქვენ თხოვნით შეადგინოთ ამიერ-კავკასიის მთავრობა. სეიმის ყველა ფრაქციათა ერთსულოვანი დადგენილებით, რაიც სეიმმაც დაამტკიცა, თქვენ სრული თავისუფლება გენიჭებათ მთავრობის წევრთა კანდიდატების არჩევაში. ამასთან, თქვენი მოქმედება არ იქნება შეკვეცილი არც პარტიული შეჯგუფებით, არც მთავრობის წევრთა რიცხვის არჩევით ამა თუ იმ პარტიიდან. მომავალ კაბინეტს სამოღვაწეო საფუძვლად უნდა დაედოს სოციალ-დემოკრატ-მენშევიკების ფრაქციის დეკლარაცია, რომელიც გამოქვეყნდა სეიმის 15 თებერვლის სხდომაზე.

თქვენი პატივისმცემელი ნ. ჩხეიძე.

## დეპეშა

**ოზურგეთი.** ბათუმის, ყარსის და არდაგანის სამშობლოს მოღალატეების მიერ გაყიდვის ამბავმა გააერთიანა ყველა პარტიები მენშევიკთა მეთაურობით. ყველა მზათ არის შეიარაღებული ძალით დაიცვას სამშობლოს საზღვრები. აღშფოთებული გურია წყევა-კრულვას უგზავნის სახალხო კომისარებს, რომლებმაც დაღუპეს რევოლ. და გაჰყიდა სამშობლო, ხალხი იარაღდება თავდასაცავათ. მოხალისეთა რაზმები ბათუმისკენ მიდიან. მობილიზაცია დანიშნულია 27 თებერვალს, რევოლიუციის წლის თავზე. მრავალ რიცხოვანმა მიტინგმა სალამი უძღვნა სეიმს. ხალხი მუხლ მოდრეკით ფიცს სდებს, რომ თავიანთ სისხლით მორწყავენ სამშობლოს საზღვრებს და მას არავის არ დაანებებენ. სთხოვენ სამშვიდობო დელეგაციის ერთი ნამცეცი მიწა არ დაუთმონ ოსმალეთის იმპერიალიზმს.

ვიქ. დღონტი.

**ახალ-ქალაქი.** 15 თებერვალს ილია ალხაზიშვილს ქართველთა ბრბომ სცემა. მილიციის უფროსის მიერ მიღებული ენერგიული ზომებით უწესოებას ჩქარა ბოლო მოუღეს. ალხაზიშვილი კარგათ არის. მისი მოკვლის შესახებ ცნობა პროვოკაციულია.

ქალაქის თავი მარქარიანი.

**ხოზის** რაიონის მასწავლებლობა განურჩევლად სქესისა მზათ არის დადგეს იარაღის ქვეშ თავისუფლებისა და სამშობლოს დასაცავად.

## ახალი ამბები

**დასავლეთ საქართველოში** გუშინ, 28 თებერვალს გაემგზავრნენ ეროვნულ საბჭოს ყველა პოლიტიკური პარტიათა წარმომადგენელნი; რომელნიც სხვადასხვა ადგილებში კრებებს გამართავენ—ხალხს განუმარტავენ დღევანდელ მდგომარეობის სიმძიმეს, მოსალოდნელ საფრთხეს და მოუწოდებენ შეადგინონ მოხალისეთა რაზმები.

**ქართული კორპუსის** უფროსად ეროვნულმა საბჭომ აირჩია გენ. ვასილ გაბაშვილი, შტაბის უფროსათ—პოლკოვნიკი ალექ. ზაქარიაძე.

**სროლა.** 25 თებერვალს, საღამოს 6 საათზე, მადათოვის კუნძულზე წითელგვარდიელებმა მოინდომეს მთვრალი ჯარისკაცის დატყვევება, რომელიც ქუჩაში ისროდა თოფს. ჯარისკაცი არ დანებდა და სროლა აუტეხა გვარდიელებს. გვარდიელებმაც სროლით უპასუხეს. მოკლეს 2 მეეტლე, ერთი აფიცერი და ერთი უცნობი. ვერის დაღმართზე მთვრალ ჯარისკაცებსა და გვარდიელებს შორის ასტყდა სროლა. მსხვერპლი არ ყოფილა. სროლა მოხდა აგრეთვე დავიდოვისა და სუდების ქუჩებზე. ღამის პირველ საათზე ერევნის მოედნისა და ალექსანდრეს ბაღის რაიონში. ჯარისკაცებმა მოჰკლეს წითელ-გვარდიელი. სროლის ხმაზე გამოვიდენ სისხლის სამართლის მილიციონერები, ალექსანდრეს ბაღის რაიონიდან წამოვიდენ აგრეთვე წითელ გვარდიელები. მილიციონერებმა და წითელ გვარდიელებმა სროლის დროს ვერ გაარჩიეს ერთმანეთი. ჯარისკაცები მიიმალენ. მოკლეს ერთი წითელ გვარდიელი და ერთი მოდარაჯე. დაატყვევეს ორი ქართველი ჯარისკაცი.

**სასოფლო-სამეურნეო მამულების დარბევა.** ბორჩალოს მაზრაში თათრებმა დაარბიეს არამიანცის მამული, სადაც კულტურული მეურნეობა იყო მოწყობილი. დაანგრიეს ბამბის საწმენდი ქარხანა, წისქვილები, ყველა შენობები, გაიტაცეს სასოფლო-სამეურნეო იარაღები და მანქანები, გაანადგურეს აგრეთვე სუმბათოვის მამულიც. თათრების ბრბო მიდის სადახლოსაკენ მელიქოვებისა და სხვ. მამულების დასარბევათ. გზაში ანადგურებენ თურმე ყველა ბაღებს და ბოსტნებს.

**შანტაჟისტების თავგასულობა.** ამ ბოლო დროს თფილისის სხვადასხვა უბნებში ცარცვა-გლეჯამ ფართო ხასიათი მიიღო. ავაზაკები თავისუფლათ დათარეშობენ და არავითარ საშუალებას არ ერიდებიან, რათა დაარბიონ მოქალაქენი, ეს ვიგინდარები ხშირად მილიციონერების ტანსაცმელში გამოწყობილნი, ჩხრეკენ მოქალაქეებს, თავს ესხმიან სასტუმროების პატრონებს, ვითომდა მაგარ სასმელების აღმოსაჩენათ, ნამდვილათ კი, თავიანთ ბნელ საქმეებს აკეთებენ. ამ დღეებში მცარცველები თავს დაესხენ სადგურის რაიონში მყოფ სასტუმროების პატრონებს. საჭიროა ამ ნაძირალების ალაგმვა.

**ქართული კორპუსის ინჟინერი** მოუწოდებს მოწაფეებს, განსაკუთრებით ტეხნიკებს, რომელთაც შედარებით კარგათ იციან „სლესარის", „ტოკარის" და სხვა ხელობები, ჩაეწერონ მფრინავ რაზმში. პირობების გაგება შეიძლება კორპუსის ინჟინერის სამმართველოში ყოველ დღე (10—3 საათ.), რომელიც იმყოფება მიხეილის პროსპექტზე ყოფილ სამხედრო სასწავლებელში. დღევანდელ განსაკუთრებულ მომენტში ამ რაზმის სწრაფ შედგენას აქვს დიდი მნიშვნელობა და იმედია ახალგაზრდები დაუყონებლივ შეასრულებენ თავიანთ მოქალაქეობრივ მოვალეობას.

**ლექცია.** დღეს, საღამოს 6 საათზე, მუშტაიდის დემოკრატიულ კლუბში გაზეთ „ნოვ. ჟიზნის" რედაქციის კოლეგიის წევრი, სტან. ვოლსკი წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: „პარლამენტარიზმი და საბჭოთა მთავრობა". ლექციის შემოსავალი გადაეცემა „ბორბას" რედაქციას.

**დილა ბავშვთათვის.** თფილისის ქართველ ქალთა სასოფლო სემინარიასთან („განათლების" საზოგადოება) არსებული მშობელთა წრე მართავს დილას 4 მარტს, დილის 12 საათზე, „კინოპალას"-ში ბავშვთათვის. დილის წმინდა შემოსავალი მოხმარდება ღარიბებს მოწაფეებს.

**სურსათი.** თფილისის გუბერნიის სასურსათო კომიტეტმა მიიღო 27 თებერვალს კავკავიდან 13 „ფურგონი" სიმინდი.

**დაკარგული დედაკაცი.** 1917 წლის დეკემბრის შუა რიცხვებში დაიკარგა სიდონია გაგკელაშვილი, თელავის მაზრის, სოფელ კურდღელაურიდგან. ეხლა სიდონია გაგკელაშვილი მტკვარში დამხრჩვალი აღმოჩნდა ნავთლუხში ბაღების შუა ჩასავალი წყლისგან გარიყული: თუ ვინმე ჰყავს ნათესავი ვთხოვ ყურადღება მიაქციოს. თედო მემლაური.

**სურსათის შემოტანა.** გუშინ კავკავში გაიგზავნა საბარგო ავტომობილები თფილისში სურსათის შემოსატანათ.

**კვირას,** 25 თებერვალს დაასაფლავეს კავკავში ვერაგულათ მოკლულის სასურსათო კომიტეტის წევრის გიორგი დოლაქიშვილის ცხედარი. დასაფლავებას დიდძალი საზოგადოება დაესწრო. წარმოითქვა შესაფერი სიტყვები.

**კრებები და მიტინგები.**

დღეს, დილის 10 საათზე, საკუთარ ბინაზე (გოლოვინის პრ. № 12) დანიშნულია საოლქო კომიტეტის სხდომა.

— დღეს, საღამოს 6 საათზე კოლექტივის ბინაზე დანიშნულია მე-6 რაიონულ კოლექტივის წევრთა მორიგი კრება.

— დღეს, საღამოს 5 საათზე, ბიუროს ბინაზე შესდგება რ. ს. დ. მ. პ. მეორე რაიონის კოლექტივის წევრთა კრება.

— დღეს სასახლის თეთრ დარბაზში საღამოს 7 საათზე დანიშნულია გლეხთა ცენტრის კრება.

— დღეს დანიშნულია საზოგადო კრება 1-ლ რაიონის წითელ გვარდიელების საღამოს 4 საათზე.

## პროვინციის ქრონიკა

**დ. ხუფხა.** 24 თებერვალს მოწვეულ იქნა მიტინგი. ამხ. კ. ჟღენტმა გააცნო საზოგადოებას თანამედროვე მომენტი. მან აღნიშნა ბოლშევიკების მიერ გაყიდული ბათუმი, ყარსი და არდაგანის გამო საშინელი განსაცდელის მოლოდინი ოსმალეთიდან და მოუწოდა ხალხს რევოლიუციის დასაცველათ. ამ მოწოდებას ხალხი აღფრთოვანებით შეხვდა. მიტინგზე ერთ-ხმად დაადგინეს: „ვისაც კი ოდნავ ძალა შეგვწევს, წავიდეთ, ფრონტი გავამაგროთ, უმჯობესია ერთად დავიხოცოთ, ვიდრე ჩვენი ძვირფასი თავისუფლება დაგვეკარგოსო“. ერთმა ჯ.-კ. პ. კვარაცხელიამ მგრძნობიარე სიტყვებით მიმართა საზოგადოებას და მოუწოდა რევოლიუციის ერთგულ დარაჯთ თავისუფლების დასაცველათ. უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ამხანაგი ორხელ დაჭრილია ავსტრიის ფრონტზე და ეხლაც სიამოვნებით ჩაეწერა მოხალისეთა რაზმში. მოხალისეები ბლომათ აღმოჩნდენ. მათში ბევრი ამხ. ჯარისკაცებია. სუფსაში წესიერება დაცულია. მოსული ჯარისკაცები იარაღს სიამოვნებით აბარებენ სამხედრო შტაბს და თითონაც ურიოდებიან საზოგადოებას.

**ფოთი.** ქალაქის თვითმართველობა ამ დღეებში გადადის ახალ ბინაზე—ავგერინოს ყოფილ სახლში (ქალაქის ათთიაქის წინ. ლიაღინის ქუჩაზე), ეს სახლი ქალაქმა შედარებით იაფ ფასებში შეიძინა. დღემდე ამ სახლში მოთავსებული იყო ადგილობრივი საველე ჰოსპიტალი, რომელიც ეხლა გადააქვთ ქალაქის თვითმართველობის ძველ სადგომში. ქალაქის თვითმართველობის ახალ ბინაზე იქნება მოთავსებული აგრეთვე სასურსათო კომიტეტი.

## რევოლიუციის დღესასწაული

(27 თებერვალი თფილისში).

27 თებერვალს თფილისის დემოკრატიამ რუსეთის რევოლიუციის წლის თავი იდღესასწაულა. რუსეთის რევოლიუციამ იმდენი დაბრკოლებები განიცადა, იმდენი საფრთხე გამოიარა, რომ ამ მხრივაც იგი განმარტოებული სდგას კაცობრიობის მთელს ისტორიაში. და სამწუხარო მოვლენა ის არის, რომ ყველაზე მეტი საფრთხე რევოლიუციას თვით რევოლიუციონერების მხრივ შეხვდა. მაგრამ ჩვენ მაინც გვწამს, რომ დემოკრატია უკანასკნელათ არ დღესასწაულობს ამ დიდებულ რევოლიუციის წლის თავს.

27 თებერვალს თფილისში გამართული მიტინგები რევოლიუციის წლის თავის აღსანიშნავათ, თავისი სულიერი განწყობილებით სრული გამომხატველია იმ სულიერ ტრაღედიისა, რომელსაც განიცდის დღეს მთელი რუსეთის რევოლიუცია. მიტინგების მრავალ რიცხოვანობა ერთ მხრივ ნათლათ მოწმობს იმას, რომ ამიერ კავკასიის დემოკრატია დიდის ყურადღებით ეკიდება შექმნილ პოლიტიკურ მდგომარეობას, მეორეს მხრივ ის ჩაფიქრებული სახე და ყურადღება, რომლითაც მსმენელები იყვენ შეპყრობილი, აშკარათ ღაღადებს, რომ დემოკრატიას სურს გაიგოს ამ მდგომარეობის შინაარსი და მტლათ დაედვას მის მიერ შექმნილ რევოლიუციას. დემოკრატია ისმენს თავის წარმომადგენელ ორატორების სიტყვას. იგი ითვალისწინებს, რომ რევოლიუციის არსებობის ერთი წლის განმავლობაში ყველაფერი გაკეთდა, რომ ძველი დახავსებული წესწყობილება საბოლოვოთ აღმოფხვრილიყო; ითვალისწინებს, რომ ძველი დაწესებულებები, ძველი სოციალურ იურიდიული საფუძველი, რაზედაც მეფის მთავრობა ეყრდნობოდა სავსებით დაილეწა. მაგრამ ამ ნგრევის პროცესთან ერთად არ ყოფილა მეორე პროცესი, პროცესი შენების, დადებითი მუშაობის, რომელსაც უნდა გაემაგრებია რევოლიუციით მოპოებული თავისუფლებები, რომ შექმნილიყო ახალი საფუძველი, რომელზედაც ახალი რუსეთი დაემყარებოდა. დემოკრატია ითვალისწინებს რევოლიუციონურ შემოქმედების ამ ძირითად ჰარმონიის უქონლობას, რომელმაც რევოლიუცია მიიყვანა საშინელ ტრაღიკულ მდგომარეობამდე. ორატორები გულ-ახდილათ ეუბნებიან ამას დემოკრატიას და მოუწოდებენ მას დარაჯათ დაუდგეს რევოლიუციის კეთილდღეობას.

რუსეთის რევოლიუციის ტრაღიზმის ძირითადი მიზეზი თვით რუსეთის სოციალურ-ეკონომიურ მდგომარეობაში უნდა ვეძებოთ. მისი დაუძლურების მთავარი ძალვი აქ მარხია. მაგრამ არა ნაკლები ბრალი მიუძღვის რევოლიუციონურ დემოკრატიის იმ მოწინავე რაზმს, რომელმაც ვერ შეიგნო ამ მდგომარეობის შინაარსი და რევოლიუციას დააკისრა ისეთი მიზნების განხორციელება, რაც მისთვის ობიექტიურათ ყოვლად შეუძლებელი იყო, ეს ყველასათვის ცხადია.

ერთად ერთი ოაზისი (ადგილი), სადაც ჯერ კიდევ სჩქეფს წინანდებურათ რევოლიუციის მასაზრდოებელი ძარღვი —არის ამიერ-კავკასია. ამიერ-კავკასიის შეგნებულმა დემოკრატიამ შესძლო უკანასკნელ ხანამდის მოპოებულ თავისუფლების დაცვა. მაგრამ საერთო საფრთხემ აქაც იჩინა თავი.

დიდი მსგავსებაა 27 თებერვლის და რევოლიუციის პირველ ხანების მიტინგებს შორის: წითელი დროშები, მრავალრიცხვიანობა... მაგრამ მაშინდელ ზერელე აღფრთოვანების ნაცვლათ დღეს ჩვენ ვხედავთ რევოლიუციონურ შეგნებას... მიტინგურ აღმაფრენის ნაცვლათ, ჩვენ ვხედავთ მრავალრიცხოვან საქმიან კრებას...

ემ—ჩენ.

## ამიერ-კავკასიის სეიმი

(26 თებერვლის სხდომა).

როგორც მკითხველები დაინახავდენ ჩვენს გაზეთში მოთავსებულ დეპეშებიდან, ოსმალეთმა წინადადება მისცა ამიერ-კავკასიის მთავრობას დასცალოს ბათუმის, ყარსის და არდაგანის ოლქები. ამის გამო მოწვეულ იქნა სეიმის საგანგებო სხდომა.

ამიერ-კავკასიის კომისარიატის თავმჯდომარემ ევგენი გეგეჭკორმა გააცნო სეიმს საზავო მოლაპარაკების გამო ამ უკანასკნელ დღეებში კომისარიატის მიერ მიღებული და აგრეთვე გაგზავნილი დეპეშები (ეს დეპეშები უკვე დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში).

ჩვენი ცნობით, ამბობს ორატორი —ოსმალები აძლიერებენ თავის ძალას ტრაპიზონის რაიონში და კავკასიის ფრონტზე გადმოუყვანიათ ზოგიერთი ნაწილები ევროპის ბრძოლის ასპარეზიდან. თქვენს წინაშე ეხლა სდგას საკითხი, თუ რაგვარი უნდა იყოს ჩვენი დამოკიდებულება ოსმალეთის უკანასკნელ გამოსვლასთან.

ამიერ-კავკასიის კომისარიატი ყოველთვის ერთ მიმართულებას ადგა, მას გულწრფელად უნდოდა ომის დაუყონებლივ შეწყვეტა. ამ მხრით ჩვენ მივმართეთ ყოველგვარ საშუალებას. ჩვენ ისეთი ნაბიჯებიც კი გადავდგით, რომ ფორმალურათ არც გვქონდა ამის უფლება. მაშინ, ჩვენ დამოუკიდებლათ გავმართეთ ოსმალეთთან მოლაპარაკება დროებით ზავის შესახებ. დარწმუნებული ვართ, რომ ოსმალეთსაც გულწრფელათ სურს ჩვენთან ზავის ჩამოგდება. თუმცა ეს რწმენა რამდენიმეთ შეარყია ვეხიბ-ფაშას უკანასკნელ დეპეშამ... ოსმალეთის მთავრობისათვის აშკარა იყო, რომ ჩვენ ვაწარმოებდით დამოუკიდებელ პოლიტიკას და ბოლშევიკების მთავრობასთან ჩვენი დამოკიდებულების შესახებ მას არავითარი ეჭვები არ უნდა ჰქონდეს. ოსმალეთის მთავრობამ თავის მოქმედებით დაამტკიცა კიდეც ეს. ახლა კი უნდა ჩვენ შეგვაკავშიროს რუსეთს. ვეხიბ-ფაშას მიერ 10 თებერვალს გამოგზავნილ დეპეშაში ნათქვამია, რომ ოსმალეთის დელეგაცია უკვე გამოემგზავრა, რომ გამართოს ზავის შესახებ მოლაპარაკება და აღიაროს ამიერ-კავკასიის მთავრობაო. უკანასკნელი წინადადება კი ჩვენ ულოღიკობათ მიგვაჩნია. მე, როგორც გარეშე საქმეთა სამინისტროს კომისარი ვაყენებ საკითხს, ოსმალეთის ეს განცხადება ჩავთვალოთ საზავო მოლაპარაკების შეწყვეტათ თუ გაუგებრობათ? მე ვფიქრობ, რომ ჩვენ უნდა მივიღოთ ყოველივე ზომები, რომ ჩვენსა და ოსმალეთს შორის ბოლო მოეღოს სისხლის ღვრას და ამ მიზნის მისაღწევათ ჩვენ ბოლომდის უნდა ვიმოქმედოთ. ჩვენ ამასთანავე მცხოვრებთ უნდა ვაცნობოთ ყველაფერი. ხალხი ახლა ფიქრობს, რომ ორივე მხრით გულწრფელათ სურთ ზავის ჩამოგდება და თუ ეს ერთსულოვნობა ირღვევა, ჩვენი ვალია ვაცნობოთ ეს ხალხს. (ტაში.)

**გენ. ლებედინსკი** (კავკ. ჯ. უფროსი). აღნიშნავს, რომ ამ ბოლო დროს ოსმალების დამოკიდებულება ჩვენდამი ძალზე შეიცვალა. მათი წინადადებით ჩვენ ავირჩიეთ კომისია, რომელსაც დაევალა ფრონტზე დარჩენილ ქონების პატრონობა, მაგრამ ოსმალები ახლა ჩვენს ჯარისკაცებს არ აძლევენ უფლებას შეასრულონ თავისი მოვალეობა. ბითლისის რაიონში გამოჩნდენ ოსმალების რეგულიარული ნაწილები, სხვა რაიონებში მოქმედობენ ქურთები, რომლებსაც ჩვენი ჯარისკაცები ადვილათ ართმევენ იარაღს.

ფრაქციების წარმომადგენლებიდან ამ საკითხის შესახებ პირველათ ლაპარაკობს ნოე ჟორდანია.

(ნ. ჟორდანიას სიტყვის სტენოგრაფიული ანგარიში ცალკე იბეჭდება დღევანდელ ნომერში).

ნოე ჟორდანიის შემდეგ სიტყვა ეძლევა დაშნაკციუთუნის წარმომადგენელს შახატუნს. ჩვენი პარტიაო, ამბობს ორატორი, გულწფელათ მოითხოვდა და დღესაც მოითხოვს დემოკრატიულ ზავსო. ჩვენ ძველი წყობილების დროსაც არ ვიყავით მომხრე ანექსიის, ამიერ-კავკასიის ერებსაც სურთ დემოკრატიული ზავი და ისინი საჭირო მსხვერპლსაც გაიღებენ, თუ ეს საჭირო იქნა ამ მიზნის მისაღწევად.

**ხან-ხოისკი** (მუსავატი). ვფვქონ, რომ ჩვენ გვქონდეს რაიმე ახალი საბუთი, რომელიც გვაიძულებდეს საკითხის ხელახლათ გადასინჯვას. ამ საკითხის შესახებ ჩვენ უკვე გვაქვს დადგენილება. და დღეს, როცა ჩვენი სამშვიდობო დელეგაცია ტრაპიზონში იმყოფება და ოსმალეთის დელეგაციაც იქ მიემგზავრება, როცა ხალხი ზავს მოელის—საკითხის ხელახლათ განხილვა მე საერთაშორისო უტაქტობათ მიმაჩნია. ეს საჭირო იყო მაშინ, თუ ჩვენი სამშვიდობო დელეგაცია ვერაფერს გახდებოდა. მაშინ დავინახავდით, რომ ჩვენ გავშორდით ოსმალეთის მთავრობას და ამ საკითხსაც მაშინ განვიხილავდით. ოსმალეთის მთავრობის მოქმედებაში არის ლოღიკა დაცული. იგი თითქოს მიგვერეკებოდა დამოუკიდებლობისაკენ, მაგრამ ჩვენ ეს არ ვქენით. ამიტომ ოსმალეთი ახლაც ისე გვიყურებს ჩვენ, როგორც რუსეთის ნაწილს. დამოუკიდებლობის შესახებ თქვენ გარკვეული აზრი უნდა გამოსთქვათ. უახლოეს სხდომაზე სწორეთ ეს საკითხი უნდა იქნეს გარჩეული.

**ლორთქიფანიძე.** (ს.-რ.) ჩვენი პარტია მთელ თავის ძალას, ყველა თავის საშუალებებს მოახმარს თავდაცვისთვის ბრძოლას და დემოკრატიულ ზავის ჩამოგდების საქმეს. ჩვენ აქაც იმ პოლიტიკურ ხაზს ვადგივართ, რომელსაც ადგია ჩვენი პარტია რუსეთში. მე შემეძლო ამით დამეთავებია ჩემი სიტყვა, რომ ყველა ორატორებს ისე გარკვევით წარმოეთქვა თავის სიტყვა, როგორც ნოე ჟორდანიამ წარმოსთქვა. არ არის აქ საჭირო დიპლომატობა, პირდაპირ უნდა ითქვას ყველაფერი; ხომ შესაძლებელია სხვადასხვა ორიენტაციების არსებობა. ჩვენი დეკლარაციის განსახორციელებლათ ჩვენ დღესვე უნდა მოვახდინოთ მობილიზაცია (ტაში) და დავანახოთ ყველას, რომ შეგვიძლია თავის დაცვა. ხალხმა უნდა იცოდეს ნოე ჟორდანიას სიტყვა, რომელიც მან დღეს წარმოსთქვა. ხალხს უნდა ვაცნობოთ აგრეთვე მიწის საკითხის გადაჭრა. შეიძლება ზოგიერთებს არ უნდათ ჩვენ მხარი დაგვიჭირონ თავდაცვისათვის ბრძოლაში. მათ შეუძლიათ ჩამოგვშორდენ, მაგრამ დეე, დღესვე ჩამოგვშორდენ, თორემ მერე ჩამოშორება ღალატი იქნება (ტაში). დეე, ჩვენ ვიცოდეთ, ვისთან გვაქვს საქმე. თუ თქვენ ხართ შვილები ადერბეიჯანის, სომხეთის, საქართველოს,—შეკრიბეთ ძალები ამიერ-კავკასიის დასაცავათ და ჩვენც თქვენთან ვართ. (ტაში).

**ი. სემიონოვი.** (კადეტი). საჭიროა იმ ენით ლაპარაკი, რომლითაც აქ ილაპარაკა ნოე ჟორდანიამ. თათრები ერთდაიმავე დროს აწარმოებენ ჩვენთან საზავო მოლაპარაკებას და თან აძლიერებენ თავის სამხედრო ნაწილებს. და ჩვენც დღეს აქ უნდა განვაცხადოთ, რომ თავს დავიცავთ. ოსმალეთის მოქმედებაში არავითარი ლოღიკა არ არის. როცა ვეხიბ-ფაშა აქ ზავის წინადადებას გვაძლევდა, ბრესტ-ლიტოვსკში ლაპარაკი ჰქონდათ ბათუმის, ყარსის და არდაგანის ოლქების შესახებ. თუ თქვენ გინდათ ლოღიკურათ ილაპარაკოთ, ილაპარაკეთ ისე, როგორც ნოე ჟორდანია ლაპარაკობს.

**ევგენი გეგეჭკორი.** ყველა სიტყვებიდან,—ამბობს ორატორი—რომელიც ჩვენ აქ მოვისმინეთ საკმაოთ გარკვევით და აშკარათ აღინიშნა ის გარემოება, რომ მე, როგორც გარეშე საქმეთა სამინისტროს კომისარს არამც თუ მქონდა უფლება, არამედ ვალდებულიც ვიყავი მექნა ყოველივე ის, რაც მოვიმოქმედე. მე ვუპასუხებ ხან-ხოისკის:—იგი საკითხის დასმას მაშინ, როცა ხალხს საფრთხე მოელის, უწოდებს საერთაშორისო უტაქტობას. მაგრამ უდიდესი დანაშაულობა იქნებოდა ამიერ-კავკასიისა და ხალხის წინაშე, რომ ეს საკითხი არ წამომეყენებია ისე, როგორც წამოვაყენე (ხანგრძლივი მქუხარე ტაში). სეიმის წევრი ხან-ხოისკი ლაპარაკობდა ჩვენს შეცდომებზე. იმაზე, რომ ამიერ კავკასიის კომისარიატი არ დასთანხმდა ოსმალეთის წინადადებას გამოეცხადებია თავისთავი დამოუკიდებელ მთავრობათ. მთავრობის წევრს ხან-ხოისკის დაავიწყდა, რომ კომისარიატი ჯერ არ გაუქმებულა. ხან-ხოისკი ივიწყებს, რომ ისეთ პოლიტიკურ მდგომარეობის დროს, რომელიც გვემუქრებოდა ყველაფრის განადგურებას, იგი თანახმა იყო, რომ სხვა გამოსავალი არ შეიძლებოდა ყოფილიყო. (გარეშე პირთა შორის ისმის ხმა: „ძირს“).

**თავმჯდომარე.** გთხოვთ ადგილიდან ნუ წამოიძახებთ სიტყვებს.

**ე. გეგეჭკორი.** ნუ თუ ჩემი გამოსვლა და ის საკითხი, რომელიც მე წამოვაყენე დამუქრებაა? მე უნდა ვსთქვა, რომ დამუქრება ჩემს სიტყვებში არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო. ჩვენ მხოლოდ ვსთქვით, რომ უნდა შევეცადოთ მთელი ძალ-ღონით, მთელი ჩვენი ენერგიით, მთელი ჩვენი აღტაცებით, რომ მივაღწიოთ ასე სანატრელ ზავს. მაგრამ ჩვენ გვეუბნებიან, რომ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების ძალით საკითხი უკვე გადაჭრილია ჩვენს გარეშე და უჩვენოთ. უპირველეს ყოვლისა ხან-ხოისკიმ უნდა აღამაღლოს ხმა წინააღმდეგ ბოლშევიკების სურვილისა შეკრან ბრესტ-ლიტოვსკში ხელშეკრულება, რომლის შემუშავებაში ჩვენ მონაწილეობა არ მიგვიღია და რომელსაც ძალით გვახვევენ თავზე. როცა ჩვენ წინადადებას გვაძლევენ ამ ხელშეკრულების ძალით დავცალოთ ცნობილი ოლქები, აქვს თუ არა თვითეულ წევრს მთავრობისას, თვითეულ „ოპიატელს“, თავის სამშობლოს თვითეულ შვილს, თვითეულ უბრალო მოქალაქეს უფლება გამოვიდეს ამ ტრიბუნაზე და უთხრას ხალხს: გამაგრდი ხალხო, მჭიდროთ შეკარი შენი რაზმები, ვინაიდან საფრთხე მოგელის შენო.

ჩვენ არავის არ ვემუქრებით და ისეთი მომენტი არ არის ეხლა, რომ იარაღი ვარაკუნოთ: ჩვენ ვამბობთ, რომ ვერავინ გაბედავს წაართვას ხალხს ერთი უფლება—სახელდობრ, სახელოვან სიკვდილის უფლება მაშინ, როცა ეს საჭირო იქნება, როცა ჩვენ მახვილს გვიშვენენ (ხანგრძლივი ტაში). ამნაირათ სამშვიდობო დელეგაციამ თვით უნდა შეიმუშავოს ისეთი დირექტივები, როგორიც მას მისცეს. ჩვენ არაფერს მოვითხოვთ. ჩვენ გვინდა მხოლოდ იმ ლოზუნგის რეალიზაცია, რომელიც წარმოადგენს რევოლიუციონურ დემოკრატიის სურვილს და ვსცდილობთ ზავის ჩამოგდებას და ჩვენ ყოველგვარ ზომებს მივიღებთ, რომ უზრუნველვყოთ იგი. მე ვფიქრობ, რომ სხვა თვალსაზრისი, სხვა პოზიცია ამიერ-კავკასიის კომისარიატს არა აქვს. ეს არის ჩვენი პროგრამა და ეს არის ჩვენი ნება და სასურველი იყო ამ ნების ცხოვრებაში გატარება. სეიმს საჭიროთ მიაჩნია ის, რასაც ჩვენ ვაკეთებთ. ეს გზა ჩვენ უნდა განვაგრძოთ. თუ მთავრობა ვერ აკმაყოფილებს სეიმის სურვილებს, ასეთ მთავრობას უფლება არა აქვს იარსებოს არც ერთი წამი. (ხანგრძლივი ტაში).

**ხან-ხოისკი.** მე ვსთქვი მხოლოდ, რომ ჩვენ ეს საკითხი უკვე განვიხილეთ, ჩვენ უნდა აღვადგინოთ ის საზღვრები, რომელიც არსებობდა ომის დაწყებამდე. მე არ მითქვამს, რომ ამიერ-კავკასიის კომისარიატმა შეცდომა დაუშვა, როცა არ გაგზავნა წარმომადგენელი ბრესტ-ლიტოვსკში. მე აღვნიშნე მხოლოდ ფაქტი. და კიდევ ვიმეორებ, რომ დღეს ამ საკითხის განხილვა ნაადრევია.

კამათის დასრულების შემდეგ სეიმმა ერთხმათ მიიღო მენშევიკების ფრაქციის რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ სეიმი კვლავ მტკიცეთ დგას თავის პოზიციაზე ჩამოაგდოს დემოკრატიული ზავი და იწონებს მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯს.

## სეფე ხომასურიძე

იმ დროს, როდესაც რუსეთის სიბნელის სქელი ბურუსი თავისუფლების მზის სხივებმა გააპო, ცივ ციმბირში გარდაიცვალა თავისუფლების მოტრფიალე და თავდადებული მებრძოლი, ხარკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი, სეფე მეთოდის ძე ხომასურიძე.

მისი ხანმოკლე სიცოცხლე ეკლიანი გზით იყო მოფენილი. ჯერ კიდევ ერთი წლის არ იყო, რომ სეფემ დაკარგა მამა. მას არ უნახავს და არც უგრძვნია მამის ალერსი. ბავშვობა გაატარა სოფ. ხირხონისში (რაჭა) დედასთან, სადაც იგი დაიბადა.

8 წლის ობოლს პირველათ სოფლიდან უხდება თფილისში ჩამოსვლა, სადაც ერთი წლის შემდეგ ბიძაშვილების დახმარებით მიღებულ იქნა ქართულ გიმნაზიაში. გიმნაზია 1911 წელს გაათავა. მას არავითარი სახსარი არ ჰქონდა, მაგრამ მაინც გაბედა და ამავე წელში ხარკოვის უნივერსიტეტში შევიდა მედიკურ ფაკულტეტზე. ის იყო ათავებდა კურს, რომ ციმბირში გადაასახლეს „მავნე მიმართულებისათვის“.

ჯერ კიდევ გიმნაზიაში ყოფნის დროს სეფე მხურვალე მონაწილეობას იღებდა ს.-დ. ორგანიზაციებში. როდესაც უნივერსიტეტში შევიდა, უფრო მედგრათ მიჰყო ხელი მუშაობას, რისთვისაც არა ერთხელ მჯდარა ციხეში. დაბოლოს დაარსა წრე მარქსიზმის თეორიის შესასწავლათ, რომელსაც ის ხელმძღვანელობდა. იგი არ იშურებდა ძალ-ღონეს, მაგრამ მოწაფეებში ერთი აღმოჩნდა იუდა ისკარიოტელი და გასცა იგი. ერთ მშვენიერ დღეს კრების დროს თავს დაესხა პოლიცია, დაიჭირეს და შემდეგ გადაასახლეს ციმბირში, სადაც მას 20 თებერვალს, რუსეთის დიდებულ რევოლიუციის დაწყების ერთი კვირის წინათ, ამოხდა ტანჯული სული. გასწყდა მისი სევდით დაღარული გულის ძგერა. მოკვდა ისე, რომ ერთი წუთითაც ვეღარ მოესწრო თავისუფლათ ამოესუნთქა და ეგრძნო თავისუფლების სიტკბოება. მისი სახელი აღბეჭდილია ჩვენი გულის ფიცარზე. მას არ დაივიწყებენ ამხანაგები.

არ. ქორქაძე.

## ზავის გარშემო

(დასასრული).

ეხლა ჩვენს წინაშე—განაგრძობს ბლიუმი—დგას საკითხი, როგორ მოვიქცეთ შემდეგში. აქ ყველაზე უფრო საჭიროა საერთაშორისო სოციალისტურ კონფერენციის მოწვევა. საბჭოთა მთავრობამ გადასწყვიტა მხოლოდ ისეთი პარტიების წარმომადგენლები მოიწვიოს, რომლებიც საბჭოთა მთავრობას სცნობენ. ასეთი მოთხოვნილების წამოყენება შეიძლება მხოლოდ რუს. პარტიებისათვის; ხოლო რაც შეეხება დასავლეთ ევროპის პარტიებს,—ასეთი მოთხოვნილების წამოყენება სწორეთ სასაცილოა.

არსად ევროპაში მუშათა მოძრაობა მიზნათ არ ისახავს ეხლავე სოციალიზმის განხორციელებას. მასსა იქ თავის ბელადებს მიყვება და ამ ფაქტორს შესაფერი ყურადღება უნდა გაეწიოს. საერთაშორისო სოციალისტური კონფერენცია მოწვეულ უნდა იქნას არა რეზოლიუციების გამოსატანათ, არამედ ზავისათვის რეალურ მუშაობის საწარმოებლათ. არ უნდა შევუშინდეთ ზომიერ მიმართულებებს. ეს ევროპის პროლეტარიატისთვის უნდობლობის გამოცხადებას დაედარება. ამისთვის,—დაასკვნის ორატორი,—საბჭოთა მთავრობამ უნდა მოიწვიოს საერთაშორისო კონფერენცია და ამასთანავე, თუ მოისურვებს, მოიწვიოს თავის თანამოაზრეთა კონფერენცია. დღეს, სხვათა შორის, წავიკითხეთ, რომ რუსანოვს არ აძლევენ პასპორტს საზღვარ გარეთ წასასვლელათ, —ასეთ მოვლენას ადგილი არ უნდა ჰქონდეს. მაგრამ ამის გარდა,—ათავებს ორატორი,—ჩვენ უნდა მოვამზადოთ ქვეყანა წინააღმდეგობის გასაწევათ. ჩვენ გამოვედით იმპერიალისტურ ომიდან, მაგრამ თუ თავდასხმით დაგვემუქრებიან, ჩვენ შესაფერი წინააღმდეგობა უნდა გავუწიოთ. ამისათვის კი პირველყოვლისა საჭიროა სამოქალაქო ომის შეწყვეტა.

სიტყვა ეძლევა ანარქისტ **გეს** და მაქსიმალისტ **ხელივანოვს**. გე აცხადებს, რომ თავის კომუნისტურ ტერიტორიას რუსეთის რევოლიუცია მედგრათ დაიცავს როგორც შინაგან, ისე გარეშე მტრებისაგან. ორატორი იმედს გამოსთქვამს, რომ ვერც ერთი მთავრობა ვერ გაბედავს ჯარისკაცის გამოგზავნას რუსეთის კომუნისტურ რევოლიუციის წინააღმდეგ, ვინაიდან ქვეყანა საერთაშორისო რევოლიუციის წინაშე სდგას. მაგრამ რუსეთის რევოლიუციის გამარჯვების ძირითადი პირობა არის ის, რომ რევოლიუციამ მიიღოს ნამდვილი კომუნისტური ხასიათი და არა ხასიათი სახელმწიფოებრივ კაპიტალიზმისა.

მაქსიმალისტი სელივანოვი აღნიშნავს, რომ არ შეიძლება მარტო გერმანიის რევოლიუციაზე დავამყაროთ მთელი იმედები; მისი აზრით, საჭიროა ახალი ჯარის შედგენა, მთელი ხალხის შეიარაღება, რომ ამით უზრუნველ ვყოთ რუსეთის რევოლიუცია, რომელიც საერთაშორისო რევოლიუციის საფუძველია.

საპასუხო სიტყვა ეძლევა **ლ. ტროცკის.** ყველაზე უფრო სერიოზული მოსაზრება ჩვენს წინააღმდეგ,—ამბობს ორატორი,—წამოაყენა მარტოვმა, რომელმაც აღნიშნა, რომ გერმანიის იმპერიალიზმი საზავო მოლაპარაკების პირველ ხანებში ნაკლებ მოთხოვნილებას აყენებდა. აქედან იმ დასკვნის გამოტანა შეუძლიათ, რომ საბჭოთა მთავრობის ტაქტიკის მეოხებით, რუსეთის რევოლიუციამ დაკარგა პატივის ცემა, მაგრამ ეს მოსაზრება თავიდან ბოლომდე სიცრუეა.

მარტოვს დაავიწყდა, რომ ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც გერმანელ ბურჟუაზიამ წამოაყენა თავისი საზავო პროგრამა, შედარებით ზომიერი,—(ეს გერმანიის რეიხსტაგში იყო 19 ივლისს) მას წინააღუდგა სამხედრო პარტია. სამხედრო პარტია თანდათან დიდ გავლენას პოულობდა ქვეყანაში და როდესაც თავისი გავლენა კოლოსალურ ზომამდე მიიყვანა, მან დასდო ეს გავლენა მოლაპარაკების დროს სასწორზე, რაც უფრო კონკრეტიულ ფორმებს იღებდა გერმანიაში ზავის საკითხი, მით უფრო სუსტათ გაისმოდა გერმანიაში ბურჟუაზიულ შემთანხმებელთა ხმა. უწინ გერმანული პრესა ჩვენს ქებას ცდილობდა, ეხლა კი გვაძაგებს. ეს იმის მაჩვენებელია, რომ გერმანიაში რევოლიუციის ძალისადმი პატივისცემა მოდუნდა: მაგრამ სამაგიეროთ გაიზარდა შიშიანობა რევოლიუციონურ გადამდებ სენის წინაშე. წინათ გერმანელების რეალურ ინტერესებს შეადგენდა დათმობა, რათა ჩვენ დავეთანხმებულიყავით გერმანელ მასსის მოტყუილებაზე, მაგრამ როდესაც დაინახეს, რომ ჩვენ ასე არ მოვსტყუვდებოდით, მაშინ მათ გამოააშკარავეს მთელი თავისი რაობა.

ამაშია მოლაპარაკების რეალური საფუძველი.

აქ ამბობენ, რომ ჩვენ დავასუსტეთ ჩვენი თავი დამფუძნებელ კრების გარეკით. მაგრამ დამფ. კრების არ გარეკვა მემარჯვენე ს.-რევოლიუციონერებისათვის ძალა-უფლების გადაცემას დაედარებოდა. რას გააკეთებდენ ისინი? ვთქვათ, მოლაპარაკების დროს ბრესტში თვით ჩერნოვი იყო. რაში იქნებოდა მისი ძალა? რას ეტყოდა იგი გერმანელ მუშებს?

იმას, რომ იგი 18 ივნისის შეტევის ავტორია?

თუ ჩვენმა მოლაპარაკებამ მოახდინა გავლენა გერმანიაში მოძრაობაზე,—ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მოლაპარაკებას ვაწარმოებდით ჩვენ; ჩვენ, რომლებიც ვიტყვით: მილიუკოვი და კერენსკი—პეტრე-პავლეს ციხეში!

ჩემი სიტყვას თავის გამართლებათ სთვლიან. დიახ,—ეს თავის გამართლებაა, თუ საჭიროა იმაში გამართლება, რომ ჩვენ ჯერ კიდევ არ შეგვიძლია განვახორციელოთ ყველა ჩვენი მიზნები. მარტოვი არ არის მართალი, როდესაც ლაპარაკობს, რომ მე უარსვყოფ საკითხს ჩვენს პროგრამაზე. ეს არ არის მართალი. მე ვილაშქრებ მხოლოდ ისეთი კამათის წინააღმდეგ, როდესაც ერთის მხრით გველაპარაკებიან ჩვენს უძლურებაზე და საერთო არევ-დარევაზე, მეორეს მხრით კი აცხადებენ, რომ თუ ბრესტში ჩერნოვი იქნებოდა, მაშინ ყველა ამას ადგილი არ ექნებოდაო. გვეუბნებიან, რომ ჩვენ ძალა უნდა გვეჩვენებია. ეს მართალია. მაგრამ იყო კი ეს ძალა ოქტომბრამდე უფრო მეტი, ვიდრე ეს ეხლაა? რა ტაქტიკა უნდა გვეწარმოებია, რომ ჩვენი ძალა გაგვეხორციელებია? ჩვენ შეგვეძლო დაგვეტოვებია დამფუძნებელი კრება ამ შენობაში და ჩვენ ოპოზიციაში ვყოფილიყავით; მაგრამ ეს მხოლოდ იმ ნაყოფს გამოიღებდა, რომ ორი კვირის შემდეგ მასსა ისევ აღსდგებოდა და გაგვრეკავდა ჩვენც და თქვენც.

ჩვენ გვეკითხებიან, რატომ არ მოვიწვიეთ სტოკჰოლმის კონფერენცია? მაგრამ რატომ არ მოიწვიეს იგი მაშინ, როდესაც ჩვენ არ გვქონდა ძალა-უფლება?

იმიტომ, რომ მაშინ იგი ზოგ სოციალისტებს არ უნდოდათ, ზოგს კი თავიანთი მთავრობები არ უშვებდენ.

რა გაკეთდა? თქვენ გაგზავნეთ ევროპაში კომივოიაჟერები, რომლებიც განცხადებით დაბრუნდენ, რომ კონფერენციის მოწვევა შეუძლებელიაო.

იმპერიალისტებს იგი არ უნდოდა (სუხანოვი ადგილიდან: „კერენსკის არ უნდოდა!“). ეხლა კი,—განაგრძობს ტროცკი,—ლოიდ ჯორჯს უნდა ითამაშოს კონფერენციაზე. რატომ? ჩვენი პოლიტიკისათვის. ის უნდათ ჩვენ დაგვიპირისპირონ. და აი სწორეთ ამაშია ჩვენი გამარჯვება. აშკარაა, ჩვენ უნდა გავაძლიეროთ ჩვენი რევოლიუციონური ძალა. მაგრამ როდესაც იგი გაძლიერდება და გაიმარჯვებს, მაშინ იმპერიალისტების სტოკჰოლმის წინააღმდეგ გამოსვლასთან ერთათ გაუქმებულ იქნება თვით კონფერენციის აუცილებლობაც, ვინაიდან მაშინ შესაძლებელი გახდება მოვიწვიოთ ლიბკნეხტის, ადლერის და სხვა ჩვენი მეგობრების მსგავს სოციალისტების კონფერენცია.

ჩვენ ტოლსტოველები არა ვართ,—განაგრძობს ორატორი, რომ წინააღმდეგობა არ გავუწიოთ გერმანელთა თავდასხმას. ჩერნინთან კერძო ლაპარაკში მე ვსთქვი: ზავის ჩამოგდებისათვის მთავარი დაბრკოლება რადას მიმართ ჩვენს პოლიტიკაშია. თქვენ გინდათ ჩაერიოთ ჩვენი რევოლიუციის საქმეებში, მაგრამ იცოდეთ, რომ ჩვენ სისხლიდან დავიცლებით პარტიზანულ ბრძოლაში, მაგრამ თქვენ შემოსევას არ დავუშვებთთქო. (ტაში). მაშინ მათ განაცხადეს, რომ უკრაინის პურის იმედს ისინი არ უკავშირებენ მათ მხრივ სამხარ მოქმედების დაწყებას. ისინი გრძნობენ, რომ ასეთ შემთხვევაში, სასტიკ წინააღმდეგობას შეხვდებიან. თვითეულ გერმანელ ჯარისკაცმა უნდა იცოდეს, რომ ჩვენ პატიოსნათ გამოვდივართ ომიდან; მხოლოდ ამ პირობით ამართლებს ჩვენი პოლიტიკა თავის თავს. მე არ ვფიქრობ, რომ გერმანელ კაიზერს არ ეყოლება იმდენი ძალა, რომ თავდასხმა შესძლოს; მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ კიდეც რომ ეყოლოს, ისინი სასტიკ წინააღმდეგობას შეხვდებიან გერმანიის ჯარის დანარჩენ ნაწილის მხრივ. ამისთვის კი თვითეულ გერმანელ ჯარისკაცმა უნდა იცოდეს, რომ ჩვენ უკანა აზრები არა გვაქვს, საბოლოოთ გამოვდივართ ომიდან და რომ გერმანიის ხალხს არ უნდა ეშინოდეს ინგლისის იმპერიალისტებთან ჩვენი კომბინაციების. თავისთავად, ცხადია, საჭიროების დროს, ჩვენ დავიცავთ ჩვენს თავს. მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენი თავდაცვის ძალა გაათკეცებს გერმანელ ხალხის სულიერ განწყობილებას. და ამიტომ,—ათავებს ტროცკი,—ჩვენი განცხადებით ჩვენ გავაკეთებთ ყველაფერს, რაც კი მოგვეთხოვებოდა. (მქუხარე ტაში).

სვერდლოვი კითხულობს პრეზიდიუმის მიერ წამოყენებულ რეზოლიუციას. რეზოლიუციაში აღნიშნულია, რომ ცენტრალური კომიტეტი სავსებით იწონებს ბრესტში თავის წარმომადგენლების მოქმედებას, უკრაინის დელეგაციის მოქმედება მიაჩნია ღალატათ და გაუ-

[illegible]

## გორის ამბები

([illegible])

[illegible] მხრიდან მიიტანონ თავისი იერიში თავის ქვენა სურვილების დასაკმაყოფილებლად.

აუცილებელ საჭიროებად მიმაჩნია, უპირველეს ყოვლისა, გადავათვალიეროთ ყველა ის მოვლენები, რის შედეგად შეიქნა მე-4 ქართული პოლკის დაშლა.

გორის საზოგადოება და ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაციები სიხარულით შეხვდნენ ქართული ლაშქრის გორში ჩამოსვლას. მათ დროშაზე ეწერა ყველა ის ლოზუნგები, რომლებითაც სამართლიანათ ამაყობს დიდებული რუსეთის რევოლიუცია.

ჩამოსვლისთანავე პოლკმა გამოგზავნა დელეგატები ჩვენს პარტიულ ბიუროში, საიდანაც მოითხოვა ამხანაგები, ყუთი და კონვერტები. შესდგა საარჩევნო კომისია და შედეგი არჩევნებისა ყველასათვის და ჩვენთვისაც მოულოდნელი იყო. 469 კაცში 460-მა მისცა ხმა № 1. და მხოლოდ ცხრამ სხვა პარტიებს.

არჩევნების შემდეგ ეს ხალხი დაიფანტა, წავიდ-წამოვიდა სახლებში. მოწერილობის თანახმად კი პოლკი ზრდას უნდა შესდგომოდა და ოთხი ათასი კაცი უნდა შემოეკრიფა თვის დროშის გარშემო.

დაიწყო დენა ყველამ, ვისაც კი საქმე არ ჰქონდა, ვინც პატიოსან შრომას გაურბოდა, ვისაც სურდა მაზარის ჩაცმა და ვინტოვკის ხელში აღება. ამ გვარმა უთავბოლო მიღებამ შეაგროვა 800 კაცი, მცირედი გამონაკლისის გარდა, ყოვლივე სინდისს მოკლებული პოლკის შემადგენლობა საშიში შეიქნა. ის ავაზაკნი, რომელნიც ქალაქის კომისარიატის მიერ შენიშნული იყვნენ როგორც მძარცველნი და აშკარა შანტაჟისტნი თავისუფლად ვინტოვკებით ხელში დაიარებოდნენ ქუჩაში და შიშის ზარსა სცემდენ მშვიდობიან მცხოვრებთ. ხშირად გვებადებოდა კითხვა, თუ რას აკეთებს ის ას ორმოცი აფიცერი, რომელიც ითვლებოდა ქართულ პოლკში და გამოირკვა, რომ ნაწილი გაურბის სალდათებს, ნაწილი სრულიად ინერტიულია და ზოგი კი არა ნაკლებ სალდათებისა იღებდა მონაწილეობას იმ აუტანელ მდგომარეობის შექმნაში, რომელიც დღითი-დღე მწვავდებოდა ქალაქ გორში. წარმოუდგენელია, საარაკოა, მაგრამ სრული ჭეშმარიტებაა ის, რომ გაცილებით უკეთესი იქნებოდა ოსმალების დაბანაკება ქართლის შუა გულში, ვიდრე ამ ავაზაკთა ბრბოსი. შესანიშნავი სისტემა იყო შემოღებული: მთელი ეტლები ჯარის-კაცებს უნდებოდა, მეარღნეები მათგან გამუდმებით იყვნენ დაქირავებულნი და საშინლათ გამრავლდენ გორში. დღე ლოთობა, თავპირის მტვრევა და მოღამებისას განუწყვეტელი თოფის სროლა. და სწორედ ღამე, როდესაც თოფის სროლით დამფთხალი ხალხი სახლებში იმალებოდა—საკმაო იყო ცოტაოდენ გამბედავ მოქალაქეს საიდანმე ჭუჭრუტანიდან, ნახევარ საათს თვალი ედევნებინა ქუჩებისათვის, რომ მთელი სურათი ჯარისკაცთა მოქმედებისა თვალ წინ გადაეშლებოდა. ხელით, ზურგით, ტომრებით, შეხვეული პარკებით ეზიდებოდენ თვითეული, და ჯგუფები ჯარისკაცებისა სხვადასხვა გორის ქუჩებზე, იმ აუარებელ ავლა-დიდებას, რომლის მოდარაჯენი თვითონ იყვნენ. იკითხავთ რას აკეთებდა მილიცია ანუ წითელი გვარდია? აი ტრაღიზმიც ამაშია. თავი სასიკვდილოთ ყველას არა აქვს გამეტებული. რამდენიმე მილიციონერი საშინლათ გვიცემეს, წითელ გვარდიას დაემუქრენ სროლის განადგურებით და რამდენიმეს იარაღი აჰყარეს. დააფრთხეს ყველა, ვინც სინდისს ემსახურებოდა და გაბატონდენ ისე, როგორც სურდათ. მილიცია მუდამ განსაცდელში იყო. ჯამაგირს დროზე არ ღებულობდა და არავითარი ძალით მისი ალაგზე დაკავება არ შეიძლებოდა. დაიშალა მაზრის მილიცია, კარჩაკეტილში ჩასხდენ წითელ გვარდიელები და მხეცურმა თარეშმა აშკარად მოიცვა გორი. პოლკში მყოფნი გუშინდელი შანტაჟისტნი და დამცემები თავის „ვოლნათ“ დარჩენილ ამხანაგებს აუარებელ ქონებას უზიდავდენ და გუშინდელი დამცემები ფეხზე მოვაჭრეთ შეიქნენ. ის ქონება, რაც დარჩა პრაპორშჩიკების შკოლას, „ვეშჩევოი სკლადის“, და ის, რომელიც სასურსათო კომიტეტს გადმოეცა სოფელში დასარიგებლად, მათ ხელში იფლანგებოდა, იტაცებოდა შუადღისას თვით იმ ჯარისკაცებისაგან, რომლებიც დღი"ურ „ნარიადში“ ყარაულებათ ითვლებოდენ. როდესაც სასურსათო კომიტ. და ქალ. თვითმარ. მიერ შედგენილმა კომისიამ მოისურვა მაზრაში გლეხკაცებისათვის მაზარების და თბილ საცმელების ჩაბარება, კომისიის წევრებს ცემა დაუპირეს და გამოუცხადეს: „ეს ჩვენია, ჩვენ სამი წელიწადი „აკოპებში“ ვისხედით და თქვენ კი შინ ნაყარ გლეხებს უნდა დაურიგოთ ჩვენი კანონიერი კუთვნილებაო“. ვინტოვკის ფასი ბაზარზე დაეცა—პატრონას დაედო „მტკიცე“ ფასი—ერთი „ობოიმა“ (5 ცალი) ღირდა ერთი ბოთლი ღვინო, მაგრამ, ვინაიდან წინადადება აღემატა მოთხოვნილებას, „მტკიცე“ ფასი გაუქმდა და ერთ ბოთლ ღვინოში იძლეოდნენ ნარდი ბაზულად, რამდენიც ხელს მოხვდებოდა ჯიბეში. ალაპარაკდნენ ადგილობრივი ბალშევიკები—ყოფილი „სუდის“ მწერალი მონარქისტი შატუნოვი და საეჭვო სახლის მოგებით გამდიდრებული ვარსიმოვი—მოექცნენ ბალშევიკთა ორგანიზაციის სათავეში. ულოღიკობის და დემაგოგიის ვნებათა ღელვის ნაყოფი თევდორე კალანდაძე შეიქნა ხშირი გასტროლიორი და ხულიგან ბალშევიკურ მცნებათა კვინტ-ესენციის მაწოდებლათ ამ ველურ წახდენილ ბრბოსათვის.

ნანინაბრივ ჰანგებათ მოესმათ ამ სამთა რაინდთა ქადაგება მათ გარე მოჯოგილ კაცობრიობის ჰუჭყს.—„რასაც ხელთ იგდებ შენია, რაც არა დაკარგულია“ გადაიქცა ერთად ერთ ლოზუნგათ მათთვის და ამ ლოზუნგის განსახორციელებლად რიდი არაფრის ჰქონდათ. იმ დროს, როდესაც სამაზრო მილიცია, წითელი გვარდია და ნაწილი მათივე ცოტაოდნათ შეგნებულ ამხანაგებისა იარაღს ჰყრიდა ბორჯომზე მიმავალ ეშელონებს, სადაც სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი არა ერთხელ სასწორზე ქანაობდა, შატუნოვ-ვარსიმოვის „უსისხლო ანგელოზები“ დაეცნენ კომისარიატს, კომისარს ბორჯომში ყოფნის დროს და „გმირულად“ გაიტაცეს 1272 სხვადასხვა სისტემის თოფი და 100,000 მდე პატრონა. ამათში კომისარიატმა უკანვე დაიბრუნა მხოლოდ 500 თოფი. დანარჩენი კი... ეს იცის გორის ბაზარმა, რომელზედაც თოფის ფასი უცებ დაეცა 75 მანეთამდე, იცის კიდევ გორის თხრილებმა, საიდანაც რამდენიმე ათეული თოფი ამოიღეს წითელმა გვარდიელებმა და იციან იმ გორის ბალშევიკებმა, რომელთა კოლექტიური ნების-ყოფის გამომხატველი არის ყოფილი საეჭვო სახლის უსტაბაში—ვარსიმოვი. პროვოკაცია აშკარა, პროვოკაცია უსირცხო, საზიზღრათ მოხითხითე გამეფდა გორში, არა რომელიმე პარტიის, არამედ თვითეული პიროვნების წინააღმდეგაც კი. შეიქნა საშიში სალამოობით კრებების გამართვა უანგარიშო სროლის გამო, თითქმის ყოველ ღამე წყდებოდა ელექტრონის სადგურის მავთულები, ქალაქის ქუჩები და შენობები აუტანელ წყვდიადში იყო გახვეული. თავ-აწყვეტილობამ მიაღწია უმაღლეს წერტილამდე. იშვიათი გამონაკლისნი, ჯარისკაცები გვეხვეოდენ გარშემო და გვემუდარებოდენ მხოლოდ ერთს: „დაშალეთ პოლკი თორემ გვიან იქნებაო“. ჩვენც მოვითხოვდით თფილისიდან ამასვე, მარა ჩვენდა სამწუხაროთ თხოვნა თხოვნათვე რჩებოდა.

როდესაც თფილისიდან მოგვიწოდეს პროვინციის წითელ გვარდიელების თფილისში გაგზავნა, ჩვენც მოვუწოდეთ და სოფელმა ნუგეშიანი პასუხი მოგვცა. რამდენიმე ასეული ჩამოვიდა გორში თფილისში წასასვლელათ, მაგრამ ეს არ მოხდა. თვითონ გორში შეიქნა ისეთი ატმოსფერა, რომ სისხლის სუნი დატრიალდა. ერთ ღამეს „ნესტროევოი“ როტას ცეხგაუზის გაძარცვის დროს, საუკეთესო ამხანაგი ჯარისკაცი სალუქვაძე, რომელიც ასვინდისებდა მძარცველებს, დაუნდობლათ მოჰკლეს და მოკლული გაძარცვის შემდეგ ქუჩაში დააგდეს (მკვლელი დაპატიმრებულია).

ამგვარ ნერვოზულ მდგომარეობაში და თფილისიდან მოწერილობის მოლოდინში მივაღწიეთ ექვს თებერვლამდე. ექვსში ჩვენ არას მოველოდით და ამისთვის მთელი ძალები შენობებში იყვნენ დაბანაკებულნი. ნაშუადღევის 5 საათზე მთვრალმა აფიცერმა მაყაშვილმა ქუჩაში რევოლვერი გაისროლა და ვინაიდან სამხედრო წესები წინა დღით იყო გამოცხადებული, იგი შეიპყრეს და კომისარიატში წარმოადგინეს. მაყაშვილმა ლაპარაკის დროს ხელი შეახო ჩვენს მოხუც საპატიო ამხანაგს სანდრო კეცხოველს, გალანძღა უშვერის სიტყვებით, რევოლიუციონური ტრიბუნალი—წამებულმა რევოლიუციისათვის მრავალ ტანჯულმა ამხანაგმაც ვერ მოითმინა, დაგვასწრო ახალგაზრდებს და ღირსშესაფერი პასუხი გასცა თავაწყვეტილს. ამ დროს შემოცვივდენ რამდენიმე ჯარისკაცნი, დაგვპირდენ „ჩვენ თვითონ გაუსწორდებითო“ და გააქციეს პოლკში. შემდეგ ამისა ნახევარ საათს სიწყნარე იყო. როგორც მერე გამოირკვა ორგანიზაციული გამოსვლა კომისარიატის და ორგანიზაციის წინააღმდეგ 8 თებერვალს ჰქონდათ განზრახული, მაგრამ მაყაშვილმა აალელვა სალდათები და წამოასხა კომისარიატში, ამ დროს კომისარიატს შერჩა რამდენიმე ამხანაგი და გურულების ჯგუფი, რომლებიც ეზოს კარს იცავდენ თავგანწირულად. შემოსავალ კარს კი იცავდა ტყვიისმფრქვეველი და რამდენიმე ამხანაგი. დიდხანს არ გვიპასუხნია, ვინაიდან სისხლის ღვრა უკიდურეს ზომად მიგვაჩნდა, მაგრამ როდესაც გაისმა ხმა, რომ ამხანაგი გაბუნია დაიჭრა და მასთან ერთი წითელგვარდიელიო და როდესაც კომისარიატის კარებს კონდახებით მტვრევა დაუწყეს, მაშინ ჩვენც მოვმართეთ ტყვიისმფრქვეველი და გამეტებაზე გამეტებით ვუპასუხეთ. ტყვიისმფრქვეველის საზარელმა ღრიალმა გადაარჩინა მდგომარეობა. ჯარისკაცები თავზარ დაცემულნი გაიფანტნენ. კომისარიატიდან გამოსვლა მაინც საშიში იყო და მთელი ღამე ტყვიისმფრქვეველებთან დარაჯებათ ვიდექით. გათენებისას მწყობრათ შემოვიდა თფილისისა და მიხაილოვის წითელი გვარდია, რომელმაც თავისის ბრწყინვალე მოქმედებით საბოლოვოთ შიშის ზარი დასცა ყველა ნაძირალებს, ჩამოართვა პოლკს მოწერილობის თანახმათ იარაღი და დამყარდა გორში ის მშვიდობიანობა, რომლის მონატრულიც დიდი ხანი იყო ყველა გორელი მოქალაქე.

ასე მოხდა ის, რაც ლოღიკურ აუცილებლობას შეადგენდა; და მე მწამს, მოხდება ისიც, რაიც შეადგენს ფოლადის კანონს რევოლიუციისას—დადგება ის დრო, როდესაც სამართლიანი ხალხის რისხვა ლახვრათ მოევლინება რევოლიუციის ყველა მესაფლავეთ, როგორც მარჯვნივ, ისე მარცხნივ.

გორის მაზრის კომისარი

ვ. ზ. მაჩაბელი.

## მუშათა შორის

**თფილისის დეპო.** რა დროში ვართ მშრომელო მუშებო? დღეს რევოლიუციაა, დაინგრა ძველი და მის ნანგრევებზე უნდა აშენდეს ახალი, მაგრამ კითხვაც ის არის ვის შეუძლია ახლის აშენება—მშრომლებს თუ სპეკულიანტებს? განა რამის გაკეთება შეუძლია იმ ვაჟბატონებს, რომლებსაც აქვთ საშუალება, თავიანთ სახმარათ ეძლევათ თვეში ერთი ფუთი ნავთი და ისინი კი ყიდიან კერძო პირებზე და იმასაც უნამუსო ფასებში.

ამ დღეებში დეპოს აღმასრულებელმა კომიტეტმა დაიჭირა რამოდენიმე ფუთი ნავთი აქაურ ზოგიერთ ვაჟბატონების მიერ გაყიდული.

ზოგიერთები გალეშილი შემოდიან დეპოში, უშვერი სიტყვებით ლანძღავენ, ვინც კი მოუწოდებს მათ პატიოსნებისაკენ.

ეს კიდევ ცოტაა. ამ უკანასკნელ ხანებში ზოგიერთ აქაურმა ვაჟბატონებმა კარტის თამაშსაც მიჰყვეს ხელი და მთელი ღამე აურ-ზაური აქვთ მემანქანების ბინაში. ეს ძალიან სირცხვილია თფილისის მემანქანეთა პროფესიონალურ კავშირისთვის. საკვირველია ასეთ საზიზღარ საქციელს რომ აძლევენ ნებას და არ ალაგმავენ.

მე მაიძულა მათმა ასეთმა უწესოებამ მივუთითო მათ თავი დაანებონ კარტის თამაშს. წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნები მათი სახელი და გვარი გამოვაქვეყნო გაზეთებში.

მ. ციმბირელი.

—

**ფოთი.** პორტის მუშები აგერ სამი თვეა, რაც რიგიანათ ვერ ღებულობენ ჯამაგირებს. უკანასკნელ ორი თვის კი (იანვარ-თებერვალის) ისინი, ფულის უქონლობის გამო, ღებულობდენ მხოლოდ ჩეკებს. მუშებს უნდოდათ გაფიცვა გამოეცხადებიათ, მაგრამ შემდეგ გაითვალისწინეს რა ყველა ის შედეგები, რომელიც მათ გაფიცვას მოჰყვება, არჩიეს დელეგატის გაგზავნა თფილისში შრომის კომისარ ამხ. ევგ. გეგეჭკორთან. დელეგატათ გაგზავნილ იქნა ამხ. სოფ. ხოშტარია. მას კომისარიატში დაპირდენ ფულის გამოგზავნას 6 თებერვლისათვის, მაგრამ გავიდა 14 თებერვალი და არავითარი ფული მუშებს არ მიუღიათ. აღსანიშნავია მუშების მიერ მოფიქრებული ნაბიჯების გადადგმა: მიუხედავათ იმისა, რომ ისინი დიდ გაჭირვებას განიცდიდენ, მაინც უწევდენ ანგარიშს ქვეყნის მდგომარეობას და გაფიცვისკენ არ გადაუდგამთ ნაბიჯი უკანასკნელ დრომდე. 14 თებერვალს პირდაპირი მავთულით უნდოდათ დალაპარაკებოდენ თფილისში ამხ. ევგ. გეგეჭკორს, მაგრამ ის იმ დროს სხდომაზე ყოფილიყო და არ ეცალა თურმე. ბოლოს მუშები იძულებული შეიქნენ გამოეცხადებიათ გაფიცვა, რომელიც გაგრძელდა ნახევარი დღე; თფილისიდან დეპეშით შეატყობინეს მუშებს, რომ მათ ეგზავნებათ ასი ათასი მანეთი. (ფულის გამოგზავნამ იმიტომ დაიგვიანა, რომ კომისარიატი ველარ უსწრებს ბონების ბეჭდვასო).

მაგრამ ამ ასი ათასი მანეთიდან მუშებს ერგებათ ცხლახან მხოლოდ 30,000—35,000 მანეთი, თუმცა ეს ფული მხოლოდ მათ საჭიროებისათვისაა გამოგზავნილი. საქმე იმაშია, რომ ადგილობრივი ხაზინადარი მეტს არავის არ აძლევს. ვინაიდან ფულს თხოულობენ აგრეთვე პორტის სხვადასხვა დაწესებულებათა მოსამსახურეები. ამ რიგათ ზემოხსენებულ მუშებს მიეცემათ ხვედრი ფულების ნაწილი. საჭიროა, რომ ამ დაწესებულებებმა (როგორიცაა მაგალითად პორტის სამმართველო) თვითონვე იზრუნონ თავიანთ საქმეებზე და არ უცადონ იმ დროს, როცა მუშები გამოიტანებენ ფულს, რომ მაშინ ნაწილი ამ ფულისა მათ მიითვისონ, როგორც ამ შემთხვევაში, მით უფრო, რომ ეს პირველი არაა.

შ. ჩ.

## პროვინცია

**ბახვის საზ.** (გურია). 11 თებერვალს შესდგა ბახვის საზ. მცხოვრებთა საერთო კრება. მეოთხეჯერაა ეხლა, რომ ერთი და იმავე კითხვის გამო იმართება საზ. კრება. საქმე იმაშია, რომ ბახველებს ამ საერთო უბედურობის დროს, როდესაც გარეშე საფრთხის და შინაური ანარქიის აჩრდილი მოსვენებას არ გვაძლევს და სხვა მრავალი საერთო ხასიათის კითხვები გვიდგას წინ გადასაწყვეტათ, ზედ დაგვემატა კიდევ ერთი თავსატეხი საქმე: 16 დეკემბერს ვიღაც თავზე ხელ-აღებულებმა აქ გაძარცვა ეკლესია, საიდანაც წაიღეს სხვა და სხვა ძვირფასი ნივთები. როგორც დანამდვილებით ამბობენ, ერთ მილიონ მანეთზე მეტათ ღირებული. შეილახა რა ამ მდგომარეობის გამო ბახველების თავმოყვარეობა, როგორც გურიაში ერთი მოწინავე საზოგადოების, მათ ასეთი წინადადება წაუყენეს თავის თავს: ან ქურდების აღმოჩენა და მათი სამარცხვინო ბოძზედ გაკვრა, ანდა საზოგადოების შერცხვენა. დაიღალა რა ამ საქმეზე სამჯერ არჩეული კომისია და დღევანდელ კრებას უნდა მოესმინა ამ მესამე კომისიის მოხსენება, თუ რა შესძლეს და რა აღმოაჩინეს მათ, მარა სანამ კომისიის მუშაობა-მოქმედებას შევეხებოდე, საჭიროთ მიმაჩნია აღვნიშნო, თუ როგორ შეძრწენ და დაირაზმენ ერთად ყველა პირდაპირი თუ არა პირდაპირი მონაწილე ქურდობაში და საზოგადოების მიერ ძველათ თუ ეხლა შემჩნეული უკმაყოფილო ელემენტები, რომ სხვადასხვა პროვოკაციული გზის საშუალებით კვალი დაებნიათ და შური ეძიათ მათზე, ვინც მუდამ ამხელდა მათ უმგვანო საქციელს და საზოგადოებას დარაჯათ ედგა სათავეში. ეკლესიის გაძარცვის დღიდანვე მათ მიზანში ამოიღეს ადგილობრივი ს. დ. ორგ. კოლექტივი, რისთვისაც საჭიროთ დაინახეს გაევრცელებიათ თითოეულ მის წევრზე ხმები, ვითომ ეკლესია მათ გაძარცვეს. „მაგათ არც ხატი სწამთ და არც ჯვარი“—ასე ეუბნებოდენ ხალხს და არწმუნებდენ, უსისინებდენ და უჩრჩვედენ, რომ ხელი ეხლავე ჩაეკიდათ მხოლოდ მათთვის. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ეკლესია, როგორც სარწმუნოების ალაგი ბევრს სწამს, აგრეთვე იმას, რომ ერთ აქაურ მოწინავე ამხანაგის მამას, რომ კომისიისთვის გაეადვილებინა ქურდების აღმოჩენა, წერილი დაეწერა და კომისიისათვის ჩაეგდო, სადაც რამოდენიმე პირებს ასახელებდა ეჭვით,—პროვოკაციის გასავალი დაურჩა. და ამას თუ დაუმატებთ იმას, რომ კომისიამაც ამხანაგის მამის მიერ ჩამოგდებული წერილის შესახებ კრებას ბუნდოვანათ აუხსნა, ვითომ მას რაღაც აწუხებდა თორემ წერილს არ ჩამოაგდებდაო,—მით უმეტეს დაურჩა პროვოკ. გასავალი, ქურდ-პროვოკატორებმა მაგრად ჩასჭიდეს ხელი ამ „საბუთს“ და რომ უფრო და უფრო შემოეკრიბათ თავის გარშემო ხალხი, გაიძახოდენ: „აი გამართლდა თუ არა ჩვენი აზრი, რომ მხოლოდ მაგენი იზამდა ამას და სხვა არავინო“? და აი კრებაზედ თქვენ ხედავთ კარგა მოზრდილ ჯგუფს, რომელსაც ხელმძღვანელობს რაჟდენ დოლიძე. ეს უკანასკნელი კრების გახსნისას შესდგება მაღლობზე და საზოგადოებას მიმართავს წინადადებით: ამხანაგებო! საჭიროა აქ ავირჩიოთ სამი კორესპონდენტი, რომლებიც გასწევენ რა მდივნობას, ამავე დროს ყველა აქ გაგონილს და ნახულს დასწერენ სხვადასხვა გაზეთებშიო. კრება ამ წინადადებას ღებულობს, ან კი რა იყო აქ მიუღებელი, მარა საინტერესო ისაა, თუ რა მოსაზრებით ხელმძღვანელობს ის. ბატ. რაჟდენი დარწმუნებული იყო, რომ კომისია ზემოთ მოხსენებული მოწინავე ამხანაგის ოჯახიდან წერილის ჩამოგდების შესახებ კრებას აცნობებდა და იმ ჯგუფის დახმარებით, რომელიც რაჟდენს მომზადებული ჰყავდა, იმედი ქონდა ბრალს ეკლესიის გაძარცვაში სწორედ იმ მოწინავე ამხანაგს დასდებდა და მის შესახებ დღესვე გამოიტანდა კრება ერთგვარ განაჩენს, რასაც მერე კორესპონდენტები გაზეთში დასწერდენ და ამ გვარათ ის და მისი ჯგუფი რომ ტალახში ამოსვრიდენ მოწინავე პირს, ამით სასურველ მიზანს მიაღწევდენ. მაგრამ, როგორც ქვევით დავინახავთ, მათი მოლოდინი სრულებით არ გამართლდა.

კრება ისმენს კომისიის მოხსენებას და სწყვეტს, რომ ყველა შეკრებილი მასალების გასარჩევათ გადაეცეს, წინააღმდეგ რაჟდენის და მისი ჯგუფის სურვილისა, ოზურგეთის რევოლიუციონურ ტრიბუნალს. კომისიის მოხსენებიდან კი გამოირკვა შემდეგი: მას ჰყავს მხედველობაში სამი პირი, რომელთა შესახებ შეკრებილი მასალები უეჭველათ მოწმობენ მათს ეკლესიის გაძარცვაში მონაწილეობას. ხოლო, რაც შეეხება ერთ მოწინავე ამხანაგის ოჯახიდან წერილის ჩამოგდებას, რაზედაც ზევით გვქონდა ლაპარაკი, კომისიას ეს ძნელ გამოცანათ გახდომია, თუმცა კრების უმრავლესობა კარგათ დარწმუნდა, რომ ამ წერილს ქურდობასთან არავითარი კავშირი არ აქვს, პირიქით, მას მიზნათ ჰქონდა ქურდების რაიმე გზით საჩქაროთ აღმოჩენა. მიუხედავათ ამისა, ეს „საბუთიც“ გადაეცა სხვა საბუთებთან ერთად იმავე რევოლ. ტრიბუნალს. ამის შემდეგ ამხ. გ—მ, რომლის მამასაც ეკუთვნოდა ჩაგდებული წერილი, სცნო რა თავი ძალზე შეურაცხყოფილათ, მასზე ასეთი ეჭვების მიტანისათვის, საზოგადოებას განუცხადა, რომ სანამ ტრიბუნალი საქმეს გაარჩევდეს, მისთვის ჩამოერთმიათ საზოგადოების მიერ დაკისრებული სხვადასხვა მოვალეობანი, მარა კრებამ ეს ერთხმათ უარჰყო, რაც ნიშნავდა მისდამი შეურყეველ ნდობას. ამრიგათ ქურდ-პროვოკატორები ჯერ-ჯერობით დამარცხდენ, ხოლო იმის შემდეგ კი, როცა ტრიბუნალი საქმეს გაარჩევს, ის პირი, ვისაც ტალახში ამოსვრა მათ სურთ—გამართლდება და მათს ჯგუფს ჩამოშორდება პროვოკაციით შეცდომაში შესული პირები,—დარჩენილთ, როგორც პროვოკატორთ, საზოგადოება, ეჭვი არაა, თავის ადგილს მიუჩენს.

უცნობი ამხანაგი.


სამკურნალო კაბინეტი
ექიმი ალექსანდრე დავითის ძის
**კეკელიასი**
მიიღება კანისა, ვენერიულისა და სიფილისიანი ავათმყოფები. (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ ტელეფონი 14—28.

**ექიმი ნ. ლ. ტურიაშვილი**
მედიცინის დოკტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა.
იღებს ყოველ-დღე შინაგან სნეულებით, საბებიო და საშვილოსნოთი დასნეულებულ ავადმყოფთ—დილის 9—3 საათამ. უფასოთ იღებს ყოველ-დღე დილით 8—9 საათ. მისამართი: სოლოლაკი, გუდოვიჩის ქუჩა № 6, ეზოში მე-3 სართული.

**ექიმი გ. გ. მუხაძე**
იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 57; აფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი
**დ. ი. ჟორდანია**
იღებს ავათმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფობით, სიფილისი და მისი შედეგები სისხლ ნაკლებბა. ქრონიკული ჰალიარია და ქრონიკული ტრიპერი. საღამოს 5—7 საათამდე გარდა კვირისა. გორის ქ. № 6 (დიდუბე). ტელ. 14—37.

ექიმი
**ვ. ვ. კლდიაშვილი**
შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ღებულობს ყოველ-დღე დღის 12—1 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 4, კუთხე მიხეილის პრ. ტელეფონი 8—48. ვაგზლის სამკურნალოში მიიღებს ყოველ-დღე დღის 1—2 საათამდე.

რენტგენის ელექტრო-სხივებით მკურნალი კაბინეტი ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორის
**გ. გ. მეგრაბიანცისა**
შინაგან ავათმყოფობათა სპეციალისტი. მიიღებიან გულისა და ჰლექით დაავათმყოფებულნი. ყოველგვარი გამოკვლევა, ფოტოგრაფიული გადაღება და წამლობა—სხივებით. მშრალი ჰაეროვანი ვანები, პნევმოტორაქსი, დ'არსენვალისა ტოკი და სხვა. რენტგენო-ფოტოგრაფიული გადაღება წინასწარი ჩაწერით. ავათმყოფები მიიღებიან ყოველ-დღე დილის 9 საათ.—1 საათ. და საღამოს 5 საათ.—7 საათამდე. კვირაობით კი დილის 9 საათ. ადრესი: ბებუთოვის ქ. № 23. ტელეფონი 7—92.

ექიმი ქალი
**რ. გ. შიშლო-საგაშვილი**
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ-დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხაზებით დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, სახლი № 82.

ექიმი
**გ. დონხინი**
ყოფილ იასსისენტი პარიჟის მთავარ კლინიკისა იღებს
თვალის ტკივილებით ავადმყოფებს, დილის 10—12 და საღამოს 4—7 საათამდე. მიხეილის პრ., 76, (ხაიკინის კბილის საექიმო).

მწარმოებელთა კოოპერატივი
**„კახელ მევენახეთა კავშირთა-კავშირი“**
ამით აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ მან უკვე მოაწყო წვრილად და ერთბაშად (ბითუმად) ბუნებრივი საუკეთესო
**კახური ღვინით ვაჭრობა**
წვრილად ღვინო იყიდება თფილისში, გოლოვინის პრ. № 33, სახლი თამამშევისა ყოფილ კუზანოვის სარდაფში. ბითუმად ღვინო იყიდება კახეთში კავშირთა-კავშირის განკარგულებაში გადასულ მუკუზნის სახელმწიფო (ყოფილ საუფლისწულო) სარდაფებიდგან.
ფოსტით მისამართი: თფილისში—გოლოვინის პრ. № 33 კახელ მევენახეთა კავშირთა-კავშირს. კახეთში—ველისციხე მუკუზნის სარდაფი კავშირთა-კავშირს.
ტელეგრაფით მისამართი: Тифлисъ—Сосоюзъ ან Велисцихе Сосоюзъ.

**დამზადებულია კოლექციებათ ახალი ნაცადი**
**საბოსტნე თესლები**
1-ლი კოლექცია,—ამიერ-კავკასიის მთა-გორიან ადგილებში გამოსადეგი, შემდგარი ოცი სხვადასხვა გვარი თესლებისაგან, ღირს—120 მანეთი.
2-რე კოლექცია—დაბალ ადგილებისათვის, ოცდაექვსი სხვადასხვა გვარი თესლებისაგან შემდგარი ღირს—160 მანეთი.
კოლექცია მსურველთ გაეგზავნებათ ფოსტით. კოოპერატივებს და დაწესებულებებს თესლი გაეგზავნებათ მთელი ფასის 75 პროც. მიღების შემდეგ. დანარჩენი კი ფასდადებით, კერძო პირებს კი 20 პროც. უფრო ძვირად და მთელი ფასის მიღების შემდეგ.
დაკვეთა მიიღება 1 მარტამდე, დაკვეთილი თესლები დაეგზავნებათ მსურველთ რიგ-რიგობით.
დაკვეთა და ფულის გამოგზავნა შეიძლება შემდეგი ადრესით: Тифлисъ. Бебутовская № 6 контора „Земля и Трудъ“, агроному А. А. Атанасіану. (5—5).

**ვაგზლის კერძო სამკურნალო.**
შიხინოვის აფთიაქის გვერდით ვაგზლის ქუჩაზე
**იღებენ ექიმები-სპეციალისტები:**
ექ. ბოკერია ივ.—ქირურგიული სნეულებანი. ყოველ-დღე 2—3 საათამდე.
ექ. ვაჩნაძე ექვ.—შინაგანი და ნერვების სნეულებანი, ყოველ-დღე 11—12 საათ.
ექიმი-ქალი იოსელიანი მარ.—ქალის სნეულებანი, 10,5—11,5 საათ. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით.
ექ. კლდიაშვილი ვლ.—შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, ყოველ-დღე 1—2 საათ.
რჩევა ერთი მანეთი, ოპერაცია შეთანხმებით.


მსწრაფლ-მბეჭდავი სტამბა რუხაძისა, გა[illegible]ევის შესახვევი, № 1.